პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და ტფ. კომიტეტების და ცაკ-ის ორგანო

ფასი 10 კაპ.
ოთხშაბათი,
28
ნოემბერი
1934 წ.
№ 274 (4130)

დღეს ნომერში

- იაპონიის და მანჯურიის სამხედრო მოხელეთა და პოლიციელთა უმსგავსოებანი აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინიგზაზე.
- იაპონია-მანჯურიის ჯარების ოპერაციები ჩახარის პროვინციაში.
- მთლიანი ფრონტი და საფრანგეთის სოციალისტები.
- პროტესტი ესპანეთში ფაშისტური ტერორის წინააღმდეგ.
- ბოლივია-პარაგვაის ომი.
- თურქეთ-საბჭოთა კავშირის სანაპირო კონვენციის ვადის გაგრძელება.
- პოლონეთის გლეხობის უკიდურესი სიღატაკე.
- სსრ კავშირის ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი.
- ამერიკაში გამოვიდა ამხ. სტალინის წიგნი—„ლენინიზმის საფუძვლების შესახებ“.
- ამხ. ლიტვინოვმა და პოტიომკინმა ინახულეს რომენ როლანი.

უზრუნველვყოთ ბინით და საკვებით განსაზოგადოებული პირუტყვი

საუკეთესო მეწველზე გამოცხადებულ კონკურსის შედეგების შეჯამებიდან, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს, ირკვევა, რომ ნამატის გამოზრდისა და შენარჩუნების მხრივ მიმდინარე წელს მოპოვებულია მნიშვნელოვანი წარმატებები. ამას ადასტურებს პირუტყვის აღრიცხვის შესახებ ადგილებიდან მიღებული ცნობებიც. იზრდება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ჯოგი—აი ძირითადი დასკვნა, რომელიც შეიძლება გამოყვანილ იქნას მიმდინარე სამეურნეო წლის შედეგებიდან მეცხოველეობის დარგში.

მაგრამ პირუტყვის გამოზრდა—შენარჩუნება ზაფხულსა და შემოდგომაზე ჯერ კიდევ არ ნიშნავს თითქოს ყოველგვარი საფრთხე აცილებულია. მეცხოველეობა სოფლის მეურნეობის ისეთი დარგია, რომელიც მოითხოვს სისტემატიურ, ფხიზელ, ჩაკირკიტებულ მუშაობას,—ყველა დეტალის მტკიცედ გათვალისწინებას და გულშემატკივრულ მზრუნველობას მთელი წლის განმავლობაში

ამას კი ხშირად არ ითვალისწინებენ მთელი რიგი რაიონების ხელმძღვანელები, საბჭოთა მეურნეობები, კოლმეურნეობები და ზოგჯერ ცენტრალური სამიწადმოქმედო ორგანოებიც.

ეს ჩანს იმ საგანგაშო მდგომარეობიდან, რომელიც ჩვენ გვაქვს საკოლმეურნეო პირუტყვისათვის კონცენტრიული და უხეში საკვების მომარაგების დარგში. კოლმეურნეობებში საფურაჟო ფონდების გამოყოფის ვადა მიიწურა, **უხეში საკვების შეგროვების გეგმა შესრულებულია 57 პროცენტით, კონცენტრიულის კი—54,7 პროცენტით.**

აი როგორი უთანაბრობაა ამ საქმეში: **სიღნაღის, ყარაიას, ალგულადის, მარტვილის, კასპის და ოკრიბის** რაიონებს ზამთრისათვის უხეში და კონცენტრიული საკვების გამოყოფის გეგმა შესრულებული აქვთ მთლიანად და გადაჭარბებით.

ლაგოდეხის, გურჯაანის, ყაზბეგის, ქუთაისის, სამტრედიის, ბაღდათის, ხობის და კიდევ მთელ რიგ სხვა რაიონებს სრულიად არავითარი ცნობები არ წარმოუდგენიათ ფურაჟის გამოყოფის მდგომარეობაზე; მეცხოველეობის ერთ-ერთ ძირითად რაიონს **ბაშკიჩეთს,** კოლმეურნეობებში კონცენტრიული საკვების გამოყოფის გეგმა შესრულებული აქვს მხოლოდ 3,9 პროცენტით.

თუ ამას დავუმატებთ პირუტყვისათვის ბინების მომზადების მხრივ ჩამორჩენას მთელ რიგ საბჭოთა მეურნეობებში და განსაკუთრებით სამხრეთ-ოსეთისა და აფხაზეთის კოლმეურნეობებში, მაშინ ცხადი გახდება ის დაძაბული მდგომარეობა, რომელიც პირუტყვის საზამთრო დაბინავების საქმეში გვაქვს.

ყოველივე ეს მოწმობს, რომ ნამატის შენარჩუნებაში მოპოვებული ერთგვარი წარმატებამ თავბრუ დაასხა ზოგიერთი რაიონის ხელმძღვანელებს, მეცხოველეობაში პირველ წარმატებისთანავე იწყება დემობილიზაცია და თვითკმაყოფილება. ბევრგან პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები სათანადო სიფხიზლით არ ითვალისწინებენ იმ მდგომარეობას, რომ სუსხიანი ზამთრისათვის მოუმზადებლობის პირობებში წყალი წაიღებს იმ წარმატებას, რომელიც მოპოვებულ იქნა ზაფხულსა და შემოდგომაზე ნამატის შენარჩუნებისა და განსაზოგადოებული ჯოგის გამრავლების დარგში.

მდგომარეობა საკოლმეურნეო პირუტყვის უხეში და კონცენტრიული საკვების მომარაგების მხრივ საგანგაშოა. საჭიროა მთელი ძალებისა და საშუალებების მობილიზაცია, იმისათვის, რომ სასწრაფოდ გამოსწორდეს ეს გარღვევა. საჭიროა ადგილობრივი პარტორგანიზაციების ბოლშევიკური მობილიზება და საქართველოს მიწსახკომის მხრივ გადამჭრელი ზომების მიღება, რათა ზამთრისათვის თითოეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას ექნეს საიმედო ბინა და ნოყიერი საკვები პირუტყვისათვის.

* * *

ყურადღება რუსული ენის სწავლებას!

საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კომიტეტმა გასული წლის 2 ოქტომბრის დადგენილებაში აღნიშნა ჩვენს სკოლებში რუსული ენის სწავლების არადამაკმაყოფილებლად დაყენება. ამ დადგენილების შემდეგ თვალსაჩინო მუშაობა ჩატარდა: უნივერსიტეტსა და ქუთაისის პედინსტიტუტთან გაიხსნა რუსული ენის და ლიტერატურის სექციები, ჩამოყალიბდა პედტექნიკუმი დაწყებითი სკოლის რუსული ენის მასწავლებელთა მოსამზადებლად, გადიდდა რუსული ენისათვის განკუთვნილი საათების რიცხვი.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, **ძირითადი ნაკლი** რუსული ენის სწავლებაში **ჯერ კიდევ არაა აღმოფხვრილი.** რუსული ენის სწავლების გაუმჯობესება უშუალოდ დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად **კვალიფიციური და მუყაითი** მასწავლებელი ასწავლის ამ საგანს. ჩვენ გვყავს რუსული ენის მცოდნე და ენერგიული მასწავლებლები, მაგრამ ბევრ რაიონში **(ხარაგოული, ასპინძა, ბაშკიჩეთი)** რუსულ ენას ასწავლიან არაკვალიფიციური და ზოგჯერ ენის **სუსტად** მცოდნე მასწავლებლები.

განათლების ორგანოებმა მართებთ გადამჭრელი ზომების მიღება რუსულ ენის მასწავლებელთა მომზადება - გადასამზადებლად, როგორც საკურსო ღონისძიებების გატარების, ისე დაუსწრებელი სწავლების ხაზით.

რუსულ ენის პროგრამები ძირითადად აკმაყოფილებს მოთხოვნილებას, მაგრამ ზოგიერთი მათგანი (მე-7 და მე-8 კლასების) **გადატვირთულია.** საჭიროა აღნიშნულ პროგრამებში ცვლილებების შეტანა. დაჩქარებით უნდა შედგეს აგრეთვე **სტაბილური პროგრამები** მე-9 და მე-10 კლასებისათვის, რომლებსაც ასეთი დღემდე არ გააჩნიათ.

წელს სახელგამს არ გამოუცია რუსული ენის სახელმძღვანელოები. ბევრი სკოლის მოთხოვნილება წიგნებზე დაკმაყოფილებული არ არის. სტაბილურ სახელმძღვანელოებთან ერთად უნდა გამოვცეთ რუსული ენის **გრამატიკის სახელმძღვანელოები** ქართული სკოლებისათვის. ავტორთა კვალიფიციური კადრი ჩვენ საკმაოდ გვაჩნია.

რუსული ენის სწავლების ეფექტიანობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს **თვალსაჩინო ხელსაწყოების** (გრამატიკული ტაბულები, პლაკატები ტექსტით, მოძრავი ასოები, ორთოგრაფიული სიტყვარი) გამოცემას. განსახკომმა და სახელგამმა უნდა მოკიდონ ხელი მათი მასობრივ დამზადებას. უნდა გამოიცეს აგრეთვე **მეთოდური წერილების კრებული და რუსულ - ქართული ლექსიკონი.** ერთ-ერთი გადაუდებელ საკითხთაგანია რუსულ ენაში **დამხმარე ლიტერატურის,** ილუსტრირებულ საბავშო წიგნების გამოცემა. რუსულ ენაზე საბავშო დამხმარე ლიტერატურა მცირე რაოდენობით გვაქვს. ეს ხარვეზი დაჩქარებით უნდა შეივსოს.

უნდა გვახსოვდეს, რომ **ოქტომბრის რევოლუციის ენის — რუსული ენის — ცოდნის გარეშე შეუძლებელია მეცნიერებათა საფუძვლიანი დაუფლება.**

განაწესი უნდა შესრულდეს!

(ქალ. მახარაძე, „კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტისაგან

ნატანებში სამი საარჩევნო უბანია: წყერმაღალას საბჭოთა მეურნეობა, ზემონატანები და სოფლის ცენტრი. სამივეგან ახალი საბჭო აირჩიეს 16 ნოემბერს. არჩევნები ყველგან წარმატებით ჩატარდა, სამივე უბანი სათანადოდ მომზადებული შეხვდა ამ დღეს. საბავშვო ბაგები უზრუნველყოფილია სასმელ-საჭმელით და სათამაშოებით, საარჩევნო დარბაზები მოწყობილია პლაკატ-ლოზუნგებით; უწყებების დროული დარიგება, ამომრჩეველთა ორგანიზებული მოგროვება, სიმღერა, სიხარული და ზეიმი — აი, რა უძღოდა წინ საარჩევნო კრებებს ყველა უბანში.

1870 ამომრჩეველია ნატანებში; 1675 ანუ ამომრჩეველთა 90 პროც. მოგროვდა ამ დღეს. აღსანიშნავია ქალების აქტივობა: ყველა უბანში ქალები უმრავლესობას წარმოადგენდენ. ქალთა პროცენტი რაიონის სხვა სოფლებთან შედარებით მეტია ახლად არჩეულ საბჭოშიაც. საბჭოში სულ 34 წევრი გაიყვანეს, მათ შორის ქალი შვიდია.

27 კაცი და 7 ქალი! ესენი საკოლმეურნეო სოფლის ნაღებს წარმოადგენენ. დაწკრეთილი კოლმეურნეები, საზოგადოებრივი მუშაობაში გამობრძმედილი ხალხი, აქტივისტები, — აი ვინ აირჩიეს ნატანების მშრომელებმა ახალ საბჭოში.

დავალებაც სერიოზული მიიღეს. 1870-მა მშრომელმა 16 ნოემბერს ახალ საბჭოს მუშაობის ფართო პროგრამა მისცა.

განამტკიცეთ და გააძლიერეთ კოლმეურნეობა, დაგვეხმარეთ გავხდეთ შეძლებულები!

— განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ ჩაის კულტურის გაზრდას, დაცვას და გაძლიერებას, დავნერგოთ ციტრუსების მეურნეობა, განვავითაროთ კულტურული ვენახი, გავამრავლოთ საქონელი, შევქმნათ მესაქონლეობის მტკიცე საკვები ბაზა!

— ტყე დავიცვათ, ტყე!—უმატებდა ხალხი! ტყე ჩვენი ჯანმრთელობის და სიმდიდრის კერაა. გავაშენოთ ახალი ტყეები.

— ჭაობები უნდა ამოვაშროთ, მელიორატიული სამუშაოები უნდა ჩატარდეს.

— ნიადაგი გაასუქეთ, მინერალური სასუქი შემოვიტანოთ. მიწას მეტი სარგებელი მოვაცემინოთ.

— გვინდა სოფელი კულტურული და კეთილმოწყობილი, მომავალ წელსვე დავამთავროთ ნატანების კლუბის შენება. ავაგოთ სამკითხველო, ლეჩკუნა-ჯაფარეულში სკოლა არა გვაქვს.

— სოფლის ეკონომიური წინსვლა მოითხოვს აგურის ქარხნის აგებას, აბრეშუმის სამარეგო ფარდულს, ბაზრისა და მთავარი გზების დაგეგმვას, გზების შეკეთებას.

— ნატანები ელექტრონმა უნდა გაანათოს.

— ჩვენ ვიზრდებით. უკულტურონი თუმცა ადრეც არ ვყოფილვართ, მაგრამ ახლა მეტი განათლება, მეტი კულტურა გვწყურია. არასრული საშუალო სკოლა არ გვაკმაყოფილებს, დააყენეთ საკითხი და საშუალო სკოლა დაგვიარსეთ.

— წერა-კითხვის უცოდინარი არ არის ჩვენს შორის. და, ნურც მცირე მცოდნე იქნება.

— ციება გვაწუხებს, მალარია უნდა მოგვშორდეს.

— სამალარიო სადგური დავაარსოთ, საექიმო პუნქტის მუშაობა გავაჯანსაღოთ, საჭირო მედიკამენტები მოვატანინოთ.

— საკოლმეურნეო ბაზარი გვინდა ნატანებში, მნიშვნელოვანი სოფელია, აქვეა რკინიგზის საკვანძო სადგური, მილეთის ხალხი მიდი-მოდის და სირცხვილია აქ რომ მოწესრიგებული ვაჭრობა არ გვქონდეს.

— რკინიგზის სადგურს უნდა დავეხმაროთ, უნდა გავამწვანოთ, გავალამაზოთ.

— ლეჩკანის სათესლე მეურნეობაში გზა უნდა გავიდეს.

— გავიყვანოთ.

საღამოს, ახლად არჩეული საბჭოს პირველი საორგანიზაციო პლენუმი.

— ვინ შესძლებს ყოველივე ამის გაკეთებას, ამხანაგებო—კითხულობს რაიონიდან მომაგრებული ამხანაგი.

— ჩვენ ყველა!—არის პასუხი.

— მართალია, მაგრამ ამ ყველას მეთაური უნდა.

— რასაკვირველია!

— ვინ გამოდგება მეთაურად ამხანაგებო!

— ვინც აქამდე ხელმძღვანელობდა.

— მაინც?!

— ამხანაგი ემენ დარჩია. ის ამდენი ხანია საბჭოს თავმჯდომარედ გვყავდა და ბევრი რამ გაგვიკეთა.

— ამხანაგი ემენი რაიაღმასკომმა სხვა სამუშაოზე გადაიყვანა. აქ სხვა უნდა ავირჩიოთ.

— ვინ?!

— ვინ?

— ვინდა... კოლმეურნეობის მე-9 ბრიგადის ხელმძღვანელი, ენერგიული ახალგაზრდა კომუნისტი იაგორ ბერაძე.

— ბერაძე—აგრიალდა ტაში.

ნატანების მოსახლეობას სწამს, რომ ახალი საბჭო ამხ. იაგორის მეთაურობით ღირსეულად შეასრულებს მათ მიერ დასახულ დიდ პროგრამას.

ქ. ტფილისის ნავთსაზღვრო მანქანათშენების ქარხნის მექანიკური საამქროს კომკავშირის ორგანიზატორი ამხ. ვართან დავიდიანი, დაზგაზე მუშაობის დროს. არჩეულია რაისაბჭოს წევრად.

ნუთუ ქალები არ არიან ჩოხატაურში!

(„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტისაგან)

ჩოხატაურის რაიონში საბჭ. გადარჩევისათვის მზადება დროზე დაიწყეს. ანგარიშები დროზე დაამთავრეს და 10 ნოემბრიდან პირდაპირ გადარჩევებს შეუდგნენ.

რაიონი დაყვეს 64 საარჩევნო უბნად. საბ. საბჭოებზე მიამაგრეს პ.-მგ. ამხანაგები, 9 დღეც და არჩევნები დამთავრდა. ახლა შედეგებს აჯამებენ რაიაღმასკომის საორგანიზაციო განყოფილებაში.

რა შეიძლება ითქვას საერთოდ.

შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად მოსამზადებელი მუშაობის დროზე დაწყებისა, ჩოხატაურის რაიონში საბჭოების გადარჩევა დამაკმაყოფილებლად ვერ ჩატარდა. ავიღოთ მთავარი საკითხი, **ამომრჩეველთა დასწრება.**

ზემოხეთში, სადაც რაიაღმასკომის საორგანიზაციო განყ. გამგე ამხ. ჩხიკვაძის განცხადებით არჩევნები ძალიან კარგად ჩატარდა, ამომრჩეველთა დასწრება 75 პროცენტს ვერ ასცილდა. კრებებს 657-ნაცვლად 556 კაცი დაესწრო. ასევე დაბალი იყო დასწრების პროცენტი **ჩაისუბანში** (743 კაცი, 850-ის ნაცვლად), **ერკეთში** (1225 კაცი, 1447-ის ნაცვლად) და **ზემოსურებში** (687, ნაცვლად 882-ისა), ხოლო **ხიდისთავში** (ეს ყველაზე უფრო მოწინავე სოფელია ჩოხატაურის რაიონში) საარჩევნო კრებებზე არ გამოცხადდა 695 ამომრჩეველი.

რატომ, რა იყო ამის მიზეზი?

მოსამზადებელი მუშაობის ცუდათ გაშლა,.. ადგილობრივი ორგანიზაციათა უყურადღებობა და სუსტი მასობრივი მუშაობა. აქ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პროფკავშირების უმოქმედობა, რომელთაც მოსამზადებელი მუშაობა დიდი ფახიფუხით დაიწყეს, მაგრამ როცა ჯერი საქმეზე მიდგა, არაფერი გააკეთეს. ამის დასამტკიცებლად ისიც კმარა, რომ პროფკავშირების ხაზით მიმაგრებული ამხანაგები თითქმის არცერთ სოფელში არ გამოცხადებულან.

ჩოხატაურის რაიონში საბჭოების საანგარიშო-საგადარჩევო კამპანია, რაიაღმასკომის მუშაკთა განცხადებით, ფართოდ დაუკავშირდა მამათელების გამოწვევას. გაიშალა ბრძოლა საარაიონო ყრილობის დღისათვის ყოველგვარი გეგმის შესასრულებლად და ზოგიერთმა სოფელმა (ბუკნარი, კახნარი) დამაკმაყოფილებელი შედეგიც მიიღო. მაგრამ გეგმების შესრულებისათვის გადამწყვეტი ბრძოლა რომ ყველგან არ წარმოებულა, ამაზე ბევრი სოფსაბჭოს მაგალითი ლაპარაკობს. შეიძლება დავასახელოთ მაგალითად, მოწინავე **ხიდისთავი,** სადაც სახელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარების გეგმის შესრულება დღეისათვის 46 პროცენტს უდრის, ხოლო **შუასურები** 35 პროცენტზე გაიყინა.

ორიოდე სიტყვა იმის შესახებ, თუ როგორ დაამახინჯეს დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპი საბჭოთა არჩევნების დროს გოგოლესუბანში (ჩოხატაურის სოფლის საბჭო).

ეს მოხდა 14 ნოემბერს. ადგილობრივი დაწყებითი სკოლის შენობაში მოგროვილან ამომრჩევლები. კრებამდე ჩვეულებრივი სჯა-ბაასი. კრებაზე წესრიგი და ამომრჩეველთა დაინტერესება რასაკვირველია.

სოფლის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. შალვა გიორგაძე ხსნის კრებას. ირჩევენ პრეზიდიუმს, კითხულობენ დანაწესს და არჩევნებზე გადადიან, ასახელებენ კანდიდატებს. ხალხი მომხრეა. ასახელებენ აგრეთვე ორ ქალს — სიხარულიძეებს. დარბაზში გაკვირვება დაისადგურებს.

— ვინ არის მომხრე — აცხადებს თავმჯდომარე.

ხმას არავინ იღებს.

—ვინ არის მომხრე,—იმეორებს შალვა გიორგაძე.

ხელს არავის სწევს.

— ვინ არის მომხრე, — ჰყვირის როლში შესული თავმჯდომარე.

სიჩუმე. სიცილი:

— წინააღმდეგი ხართ ფრაქციის დადგენილების არა?!. ვინ არის წინააღმდეგი?!.

აქა-იქ გამოჩნდა აშვერილი თითები.

—ეს რა ამბავია, თქვენ პარტიის აზრს არ უწუნებთ? ეს როგორ შეიძლება. წინააღმდეგი ვინ არის-მეთქი!

ხელს არავინ სწევს.

— გასულია ერთხმად. გადავიდეთ შემდეგზე.

მაგრამ ხალხში ატყდა ჩოჩქოლი, გაისმა უკმაყოფილო ხმები:

— ჩვენ თუ გვეძახით, ნებაც მოგვეცით კანდიდატის არჩევის და გაშავებისა. გიორგაძის ნება თუა, მაშინ ჩვენ რაღა საჭირონი ვყოფილვართ. რას მოგვიწვიეთ!

— საბჭოებში პატიოსანი მშრომელები გავიყვანოთო, გვეუბნებიან — ამბობდენ მეორე ჯგუფში. — ეს კანდიდატები ჩვენს სოფელს პატიოსნად არ მიაჩნია.

მაგრამ გიორგაძემ ამ ხმებს ყურადღება არ მიაქცია, საარჩევნო კრება „წარმატებით დაგვირგვინა“ და მეორე დღეს უპატაკა რაიაღმასკომს.

დამახინჯებას ადგილი ჰქონდა ამავე სოფლის საბჭოს მეორე უბანში. —**ახალსოფელში.**

აქ საბჭოს წევრებად შერჩეული იყო ყველა მოსამსახურე. არცერთი კოლმეურნე, არც ერთი დიასახლისი. დაიწყო საარჩევნო კრება, და რომ რაიკომის მდივანს ამხ. ბერაძეს შემთხვევით არ მიესწრო, საბჭოში უნდა გაეყვანათ შეუფერებელი კანდიდატები.

კიდევ ერთი საკითხი და დავამთავროთ. საკითხი ქალების პროცენტისა ახალ საბჭოებში. ჩვენ ხელთ არა გვაქვს მთელი რაიონის დაჯამებული ცნობები, მაგრამ მასალები ცალკეული სოფლებიდან ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ ჩოხატაურის რაიონის ზოგიერთი ხელმძღვანელი სათანადოთ არ აფასებს ქალის როლს სოციალისტურ მშენებლობაში.

რაიონში 20 სასოფლო საბჭოა. ბუკნარიფია, აირჩიეს 20 თავმჯდომარე, მაგრამ ამათში ქალი არცერთი არაა. კიდევ მეტი, რაიონში ხამოცამდე კოლმეურნეობაა. ქალი არსად არა ჰყავთ თავმჯდომარედ.

ჩაისუბანში, სადაც 285 მამაკაცი და 565 ქალია ამომრჩეველი, ახალ საბჭოში 18 მამაკაცი და 5 ქალი გაიყვანეს. ბუკნარში, სადაც 178 კაცი და 210 ქალია ამომრჩეველი, 7 კაცი და 2 ქალი აირჩიეს. შუასურებში საბჭოს 16 წევრიდან 2 ქალია. რასაკვირველია, ეს უცილად შეუწყნარებელი მოვლენა და აღმაშფოთებელი ფაქტია.

ამის შესახებ ჩვენ საუბარი გვქონდა რაიონის ხელმძღვანელ ამხანაგებთან. მათ თავი იმართლეს:

— ჩოხატაურის რაიონში არ არის ქალი, სოფლის საბჭოს თავმჯდომარედ რომ გამოგვადგესო.

მათი ეს განცხადება სრულიად უმართებულოა. რაიონის სხვა სოფლებზე ვერაფერს გეტყვით და ჩოხატაურის სოფლის საბჭოდან რამდენიმე ქალს დაგისახელებთ, რომლებიც სოფლის საბჭოს თავმჯდომარეობას თავს საუკეთესოდ გაართმევენ. რა იქნა **ოლღა ბილიხოძე,** ძველი ბოლშევიკი, მრავალ საპასუხისმგებლო პოსტზე ნამყოფი. სად არის **სიდონია ჩხაიძე,** ძველი კომკავშირელი ქალი, აქტიური გამოცდილი მუშაკი, წინათ მასწავლებელი, შემდეგ განათლების მუშაკთა რაიკავშირის თავმჯდომარე, უკანასკნელად რაიაღმასკომის ინსტრუქტორი! სად არის **სონია ოსიძე, ვერიჩკა ბერძენიშვილი, მინადორა შელია,** პარტიის წევრები, გამოცდილი საზოგადოებრივი მუშაკები!

ნუ თუ ჩოხატაურის რაიონში მართლა არ არის ქალი, სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ გამოსადეგი?!

წინადადებას ვაძლევთ განმეორებით ჩატარდეს არჩევნები გოგოლესუბანში, სადაც ამომრჩეველთაგან უარყოფილი და გიორგაძის დაჟინებით გაყვანილი უავტორიტეტო ქალები უნდა შეცვალონ დამკვრელი კოლმეურნე, პატიოსანი და გამრჯელი ქალებით.

ნ. პაიჭაძე.

ამხ. თ. ჟღენტი სამხრეთ ოსეთსა და გორის რაიონში მოგზაურობის შესახებ

საქართველოს ცაკის მდივანმა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. თენგიზ ჟღენტმა, რომელიც დაბრუნდა სამხრეთ-ოსეთში მოგზაურობიდან, სამხრეთ-ოსეთში საბჭოების არჩევნების მიმდინარეობის შესახებ ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენელს აცნობა შემდეგი:

— საგადარჩევო კამპანია მთელს ოლქში დიდი ენთუზიაზმით მიმდინარეობს. სასოფლო საბჭოების საგადარჩევო კრებებზე ამომრჩეველთა დასწრება უდრის 80,8 პროცენტს, ხოლო ქალების დასწრება — 71,7 პროცენტს.

თუ მხედველობაში მივიღებთ ოლქის მთიან რელიეფს, რაც მისთვის დამახასიათებელია, და მოსახლეობის გაბნეულობას, ეს პროცენტი მნიშვნელოვანია. უდავოა, რომ საოლქო ორგანიზაციები არ უნდა დაკმაყოფილდენ ამით.

სტალინირის საქალაქო საბჭოში 50 ამომრჩეველზე ირჩევენ ერთ დეპუტატს. ამის შედეგად საქალაქო საბჭოში სულ არჩეული იქნება 113 დეპუტატი.

ქალაქის 9 საარჩევნო უბნებში გამართულ კრებებს ესწრება ამომრჩეველთა 97 პროცენტი, ამასთან ქალების დასწრება უდრის 98 პროცენტს; საქალაქო საბჭოში არჩეულ დეპუტატებს შორის ქალები უკვე შეადგენენ 33—34 პროცენტს.

ოლქის ერთერთ სასოფლო საბჭოში თავმჯდომარედ არჩეულია ქალი.

ამხ. თ. ჟღენტის გადმოცემით, დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს არჩევნები გორის რაიონშიც, სადაც, წინასწარი ცნობებით, საარჩევნო კრებებს ესწრება ამომრჩეველთა 90 პროცენტი. ამ რაიონის სოფ. ტირძნისში საარჩევნო კრებებს ესწრებოდა ამომრჩეველთა 95 პროცენტი.

მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეთა და კოლმეურნეთა აქტივობის დამახასიათებელ გამოხატულებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მათი ინიციატივით შენდება ახალი, 28 ოთახიანი შენობა. უკვე მოზიდულია მშენებლობისათვის საჭირო ხრეშის და ქვის საკმაო რაოდენობა, ამოყვანილია შენობის საძირკველი. საქართველოს ცაკის სახსრებიდან ამ მშენებლობისათვის გაღებულია 5000 მანეთი (ადს).

შექმნილია საბჭოთა ჩაის მრეწველობა

„პრავდას“ მოწინავე 27 XI

აურაცხელია საბჭოთა კავშირის სიმდიდრე.

სახალხო მეურნეობის ახალმა სოციალისტურმა ორგანიზაციამ გამოიწვია საწარმოო ძალთა უმაგალითო ზრდა. მრეწველობის თუ სოფლის მეურნეობის ყოველ დარგში ყველგან, სადაც საქმეს ხელს ჰკიდებენ ბოლშევიკები, სასწაულები ხდება. მხოლოდ ახლა ხდება ჩვენი ქვეყნის უდიდეს სიმდიდრეთა პრაქტიკულად შესწავლა, მუშათა და კოლმეურნეთა მილიონები ადგენენ მხარეთმცოდნეობის ახალ კურსს. სრული უფლება გვაქვს საბჭოთა კავშირს ვუწოდოთ განახლებული მიწა.

ამ განახლებული მიწის პატარა ნაწილს შეადგენს ამიერ-კავკასია, მისი სუბტროპიკული რაიონები. ამ უკანასკნელ წლებში სუბტროპიკების მეურნეობაში ნამდვილი გადატრიალება მოხდა. ბოლშევიკების გამოცდილმა ხელმა გამოაცოცხლა საუკუნეების განმავლობაში მთვლემარე ძალები. ჩაი, ციტრუსოვანი კულტურები, სხვადასხვაგვარი ხილი და ყურძენი, ეთეროვანი, კაუჩუკოვანი მცენარეები, საკორპე მუხა, ბამბუკი, ზეთისხილი, თუთის ხე, რამი—აი რა ახასიათებს ამჟამად სუბტროპიკების მეურნეობას. და, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, საბჭოთა სუბტროპიკები უკვე აღარ წარმოადგენენ ბოტანიკურ ბაღს. საცდელ სამუშაოთა სტადიის დიდი ნაწილი უკვე გავლილია. საბჭოთა სუბტროპიკებს ახლა ახასიათებს მაღალი საქონლიანობა, თავისი პროდუქციის მასობრივად დამზადება.

ეს განსაკუთრებით ცხადად ჩანს ჩაის მრეწველობის მაგალითზე. ამ შემთხვევაში ჩვენ ლაპარაკი გვაქვს სწორედ ჩაის მრეწველობაზე.

მსოფლიო ომის წინ ყოფილ მეფის რუსეთს ყოველწლიურად შემოჰქონდა საზღვარგარეთიდან 62 მილიონი ოქროს მანეთის ჩაი. მოსახლეობის მთელი მოთხოვნილება ჩაიზე იფარებოდა იმპორტის საშუალებით. საკუთარი ჩაის მრეწველობა რუსეთს არ ჰქონდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ პლანტაციებს. რომლებიც ეკუთვნოდა ჩაის ვაჭარს პოპოვს და საუფლისწულო უწყებას. ამ პლანტაციების ფართობი ძალიან მცირე იყო, სულ 980 ჰექტარს აღწევდა. მეურნეობა მოწყობილი იყო მტაცებლურად, ჩაის ფოთლის გადამუშავება წარმოებდა შინამრეწველურად, ჩაი მხოლოდმხოლოდ დაბალი ხარისხის იყო და ვერ პოულობდა მასობრივ მომხმარებელს. ტყუილად კი არ უწოდებდნენ ხალხში კავკასიურ ჩაის „სალდათურს“.

საბჭოთა ხელისუფლებას მოუხდა ჩაის მრეწველობის საძირკვლის ახლად ჩაყრა, მუშაობის დაწყება თითქმის ცარიელ ადგილზე. ამიერ-კავკასიის პარტიული ორგანიზაციის მეცადინეობამ კარგი ნაყოფი გამოიღო. უკვე 1926 წელს ჩაის ნედლი ფოთლის მოსავალი 8-ჯერ აღემატებოდა ომამდელ მოსავალს. ჩაის მრეწველობის შემდგომი განვითარება წავიდა ნაცადი და ერთად ერთი სწორი გზით. ჩაის საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების მშენებლობა, ჩაის საქმის საფუძვლიანი ტექნიკური რეკონსტრუქცია—აი რამ მიგვიყვანა გამარჯვებამდე.

ჩაის ნათესი ფართობის გადიდებასთან ერთად, შენდებოდა ჩაის ფაბრიკები. მაღალ აგროტექნიკას პლანტაციებზე თან დაერთო ჩაის კარგად ორგანიზებული გადამუშავება და ყოველივე ამას ერთად უნდა გაეუმჯობესებია საბჭოთა ჩაის ხარისხი. წინანდელმა შინამრეწველურმა ფაბრიკებმა, სადაც ჩაის ფოთოლი ითელებოდა... ფეხებით, ადგილი დაუთმო საბჭოთა მანქანებით მოწყობილ მსხვილ ფაბრიკებს. ამჟამად მუშაობს 21 ჩაის ფაბრიკა.

ჩაის ნედლი ფოთლის მოსავალი წლითი-წლობით იზრდებოდა. 1928 წელს მოიკრიფა 1.060 ათასი კილოგრამი, 1929 წელს—1.178 ათასი კილოგრამი და, ბოლოს, 1932 წელს—1.609 ათასი კილოგრამი და 1933 წელს—3.166 ათასი კილოგრამი.

შეადარეთ ეს მონაცემები ომამდელ 100 ათას კილოგრამს.

მოვიყვანოთ ჩაის ფაბრიკების მიერ გამოშვებული ჩაის მზა პროდუქციის ციფრები: 1931 წელს—283 ათასი კილოგრამი, 1932 წელს—385 ათასი კილოგრამი, 1933 წელს—748 ათასი კილოგრამი.

ამიერ-კავკასიის პარტიულმა ორგანიზაციებმა მიმართეს რა კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა განსაკუთრებული ყურადღება საბჭოთა ჩაის ხარისხის გაუმჯობესების ამოცანებისკენ, 1934 წელს შესძლეს ახალი გადამწყვეტი წარმატებების მიღწევა. ეს წელიწადი ჩატარდა ჩაის მაღალი მოსავლიანობისათვის, ჩაის საქმის საწარმოო კულტურის ამაღლებისათვის ბრძოლის ნიშნით. საგრძნობლად უმჯობესდებოდა პლანტაციების მოვლა, მთლიანად შესრულდა საზამთრო დაბარვის, მინერალური სასუქის შეტანის გეგმები, ჩატარდა კაპიტალური სამელიორაციო სამუშაოები, დრენაჟი, ხუთ და ექვსმაგი კულტივაცია მთელს ფართობზე.

აი მიმდინარე წლის შედეგები. ჩაის ნედლი ფოთოლი მოკრეფილია 6.500 ათასი კილოგრამი. ნედლი ფოთლის მოკრეფის გეგმა საბჭოთა მეურნეობებმა შეასრულეს 11,2 პროც. და კოლმეურნეობებმა 6 პროც. გადაჭარბებით. ჩაქვის მოწინავე საბჭოთა მეურნეობაში ნედლი ფოთლის მოკრეფის გეგმა შესრულებულია 31,6 პროც. გადაჭარბებით. ფოთლის გადამუშავება ფაბრიკებში დამთავრდა ვადამდე და შესრულებულია მაღალ ხარისხოვნად. 21-მა ფაბრიკამ გამოუშვა 1.480 ათასი კილოგრამი ჩაი.

გაიზარდა მაღალი ხარისხის ჩაის გამოშვება. გეგმით გათვალისწინებული იყო სულ ერთი პროცენტი უმაღლესი ხარისხის ჩაის დამზადება, ხოლო დამზადებულია 2,2 პროც. პირველი ხარისხის ჩაი გეგმით გათვალისწინებული 6 პროცენტის ნაცვლად დამზადებულია 8,9 პროც. მეორე ხარისხის ჩაი 70 პროცენტის ნაცვლად დამზადებულია 74 პროც. და მესამე ხარისხისა გეგმით გათვალისწინებულ 23 პროცენტის ნაცვლად—14,5 პროცენტი. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ჩაქვის და ოზურგეთის ჩაის ფაბრიკების წარმატება, რომლებმაც მაღალ ხარისხობრივ მაჩვენებლებს მიაღწიეს.

„ცენტროსოიუზისათვის“ მზა ჩაის ჩაბარების გეგმა შესრულებულია 111,5 პროცენტით. არ შეიძლება არ აღინიშნოს „ცენტროსოიუზის“ უმსგავსო დამოკიდებულება საბჭოთა ჩაისადმი. ჩაის ასაწონ პუნქტებში ჩაის ფუთავენ რაღაც უცნაურ საწეკო ქაღალდში, რომლებზეც არცკი არის აღნიშნული, რომ ეს საბჭოთა ჩაია. ფაბრიკებს აუპიროვნებენ. ბრძოლა გაუპიროვნებასთან, სოციალისტური კულტურისათვის „ცენტროსოიუზს“ თითქოს არ ეხება.

ამ წელმა საბჭოთა ჩაის ხარისხის ამაღლებაში ახალი გამარჯვებანი მოგვიტანა. ჩაის შემმოწმებელმა სპეციალურმა კომისიებმა გამოარკვიეს, რომ ჩვენი საუკეთესო ხარისხის ჩაი ცეილონის, ჩინეთის, ინდოეთის მაღალი ხარისხის ჩაის შედრება.

პირველი წარმატებანი მიღწეულია. ჩაის დარგში საბჭოთა კავშირის დამოუკიდებლობას მკვიდრი საფუძველი ჩაეყარა. შექმნილია საკუთარი მეთესლეობის ბაზისი და ამ მხრივ ჩვენ ცეილონის და ინდოეთის ვაჭრებზე აღარა ვართ დამოკიდებული. გვაქვს საკუთარი ჩაის მრეწველობა, გვაქვს ჩვენი მანქანები, ჩაის საქმის დარგში შექმნილია სამეცნიერო — კვლევითი ინსტიტუტები. ახლა უკვე შეგვიძლია უფრო ფართო შეტევა ვაწარმოოთ.

საბოლოოდ მოსპობილია ჩაის საწინააღმდეგო განწყობილება კოლმეურნეთა შორის. 35 ათასი ჰექტარიდან, რაც ჩაის პლანტაციებს უკავია, 26 ათასი ჰექტარი კოლმეურნეობებზე მოდის. ჩაი კოლმეურნეთა მასების შემოსავლიანობის და კეთილდღეობის ძირითადი წყარო გახდა. შარშან შემოსავლის განაწილების შემდეგ პატიოსნად მომუშავე დამკვრელი იღებდა 350-400 ფუთამდე პურს, 500-600 მანეთს ფულად. შემოსავლის დაწყებული განაწილება ჩაის კოლმეურნეობებში ამ წელს მოგვცემს უფრო ცუდს კი არა, არამედ უკეთეს შედეგებს.

1935 წელს ჩაის ფოთლის მოსავლიანობა ერთ ჰექტარზე უნდა შეადგენდეს 1.400 კილოგრამს. ასეთია ამიერკავკასიის ბოლშევიკების წინაშე პარტიის მიერ დასმული უახლოესი ამოცანა. ახლანდელი წელი, როცა მოსავლიანობა ჰექტარზე დაახლოვებით 1.200 კილოგრამს უდრიდა, იყო გაქანება მოსავლიანობის გადიდებისთვის შემდგომი ბრძოლის გასაჩაღებლად. იმაზე, თუ როგორ ჩატარდება შემოდგომა-ზამთრის სამუშაოები, დამოკიდებულია მომავალი წლის წარმატება. საჭიროა მხოლოდ ხაზგასმით აღინიშნოს ერთი რამ: დამტკიცებული და პრაქტიკულად შემოწმებულია, რომ უმაღლესი ღირსების საბჭოთა ჩაი შეიძლება უცხოეთის საუკეთესო ხარისხის ჩაის არ ჩამოუვარდეს არც მოსავლიანობით და არც ხარისხით.

ამხ. ვოროშილოვის წერილი

სტალინგრადის ქარხნის „კრასნი ოქტიაბრის“ დამკვრელ მუშებს

მივიღე თქვენი ძალიან კარგი წერილი, დიდ მადლობას გიძღვნით ძვირფასო ამხანაგებო.

თვითეული თქვენი სიტყვა მაგონებს იმ მუშებს, რომლებსაც ნამდვილად შესტკიოდათ გული თავის ქარხანაზე, სძულდათ ზარმაცები და სამუშაო დღის გამცდენები, მზად იყვნენ ყველაფერი გაეკეთებიათ იმისათვის, რათა გამოეყვანათ ქარხანა სამარცხვინო გარღვევიდან, მაგრამ, სწორ ხელმძღვანელობას მოკლებულნი გზებს ვერ პოულობდენ.

როცა მაგონდება ჩემი ჩამოსვლა თქვენთან ამ ორი წლის წინათ, ძალაუნებურად სურვილი მებადება თქვენი მაშინდელი პროლეტარული კოლექტივი ჩვენი რევოლუციის პირველ პარტიზანულ რაზმებს შევადარო: საერთოდ, ხალხი საუცხოვო იყო, მაგრამ საკმაოდ მოიპოვებოდენ პროლეტარულ საქმეს მიტმასნილი ყოველგვარი არამზადები, და თითქოს გვაკლდა საჭირო ხელმძღვანელობა, მტკიცე ბოლშევიკური სარდლობა ასეთი იყო პირველი პერიოდის ბევრი პარტიზანული რაზმი, ასეთი იყო თქვენი ქარხანაც ორი წლის წინათ.

ყველა თქვენ მაგიერ სიხარულით ვკითხულობ ახლა თქვენი წარმატებების ამაღელვებელ ციფრებს. თქვენ სამართლიანად დაიმსახურეთ ჩვენი „პრავდას“ დროშა. მე ეჭვი არ მეპარება, რომ თქვენ მომავალშიაც კარგად იმუშავებთ. მაგრამ, ამხანაგებო, ეს ახლა უკვე ცოტაა, ნუ დაგავიწყდებათ, რომ სხვა ქარხნებიც კარგად მუშაობენ, მათთან დიდ შეჯიბრებაში თქვენ გაიმარჯვებთ მხოლოდ მაშინ, თუ იმუშავებთ წარჩინებულად, იმუშავებთ ისე, რომ თვის ან კვარტალის უკანასკნელ დეკადებში კი არ მიმართოთ იერიშობას, არამედ სისტემატიურად, თვიდან-თვემდე, დღითი-დღე გადაჭარბებით შეასრულოთ გეგმა, როგორც გვასწავლის მუშაობა ჩვენი პარტია.

გისურვებთ სრულ წარმატებას ამ საქმეში, ძვირფასო ამხანაგებო.

კ. ვოროშილოვი.

საბჭოთა კავშირში

მსოფლიოში უდიდესი—კუზნეცკის მეტალურგიული ქარხნის საერთო ხედი.

დაჯილდოება დამსახურებისათვის

საბჭოთა კავშირის თავდაცვისა და მისი სახელმწიფო საზღვრების დაცვის საქმეში.

მოსკოვი, 26 ნოემბერი. სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1934 წლის 25 ნოემბრის დადგენილებით, არაერთი და ორი დიდი დამსახურებისათვის სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრების დაცვის საქმეში შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის № ლეგიონი დაჯილდოებულია წითელი დროშის ორდენით.

იმავე დადგენილებით სსრ კავშირის თავდაცვის და მისი სახელმწიფო საზღვრების დაცვის საქმეში განსაკუთრებული დამსახურებისათვის დაჯილდოებულია წითელი დროშის ორდენით შინაგან საქმეთა ნაწილების 120 და წითელი ვარსკვლავის ორდენით 29 მეთაური და წითელარმიელი (ადს).

აკადემიკოს ა. ი. იუშჩენკოს იუბილე

ხარკოვი, 26 ნოემბერი. შესრულდა აკადემიკოს ა. ი. იუშჩენკოს მეცნიერულ-პედაგოგიური, საექიმო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 40 წელი. ა. ი. იუშჩენკოს აქვს 120-მდე მეცნიერული ნაშრომი ფსიქო-ნევროლოგიაში. მისი ცხრა მოწაფე ამჟამად ფსიქიატრიის და ნევროპათოლოგიის პროფესორია.

აკად. იუშჩენკოს მოღვაწეობის აღსანიშნავად შექმნილია საიუბილეო კომისია უკრაინის სსრ-ის ჯანმრთელობის სახალხო კომისარის ამხ. კანტოროვიჩის თავმჯდომარეობით (ადს).

პოლონეთ-აზიის სააქციო ბანკი

ხაბაროვსკი, 26 ნოემბერი. „ხარბინსკოე ვრემია“ პოლონეთის ხარბინელი კონსულის კვიატკოვსკის განცხადების თანახმად იუწყება, რომ მომავალი წლიდან ხარბინში გაიხსნება პოლონეთ-აზიის სააქციო ბანკი, რომელსაც ძირითად თანხად ექნება 2 მილიონი გოზი. ბანკის გამგეობა იქნება ხარბინში, ხოლო ვარშავაში ბანკის განყოფილების ფუნქციებს შეასრულებს პოლონეთის ცნობილი ბანკი ხანდლოვი. გაზეთის სიტყვით, ბანკის ამოცანას წარმოადგენს ის, რომ დააფინანსოს მანჯურიიდან სოიის მარცვლის ექსპორტი პოლონეთში (ადს).

ჩელუსკინელთა მუზეუმ-ძეგლის პროექტების დამუშავება

ლენინგრადი, 26 ნოემბერი. სამხატვრო აკადემიის არქიტექტურული ფაკულტეტის უკანასკნელი კურსის სტუდენტები აკადემიკოს ი. ა. ფომინის ხელმძღვანელობით შეადგენ „ჩელუსკინის“ ეპოპეის და საბჭოთა კავშირის გმირ — მფრინავთა მამაცების ამსახველ მუზეუმ-ძეგლის პროექტების დამუშავებას. ახალგაზრდა არქიტექტორნი ასზადებენ ძეგლის 25 პროექტს. ეს ძეგლი, არქიტექტურული ფაკულტეტის და არქიტექტურის ინსტიტუტის დავალებით, მონუმენტალურ შენობას უნდა წარმოადგენდეს.

ყველა პროექტი ნაჩვენები იქნება გამოფენაზე, რომელიც დეკემბრის მეორე ნახევარში სამხატვრო აკადემიაში გაიხსნება (ადს).

ამხ. ს. ნ. სმიდოვიჩის გარდაცვალება

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ცნობა

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება ბოლშევიკური პარტიის ძველი წევრის, მშრომელ ქალთა ორგანიზატორის და კომუნიზმისათვის დაუღალავი მებრძოლის ამხ. სოფიო ნიკოლოზის ასული სმიდოვიჩის გარდაცვალებას.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. კომიტეტი

სსრ ცაკის თავმჯ-რეს—ამხ. მ. ი. კალინინს სსრკ სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ვ. მ. მოლოტოვს

ღრმა მადლობას გიცხადებთ, რომ დიდი პატივი დამდეთ და ლენინის ორდენით დამაჯილდოვეთ.

ეს უმაღლესი ჯილდო პროლეტარული დიქტატურის სახელმწიფოს მხრივ ჩემთვის ყველაფერზე უფრო ძვირფასია.

მე ბედნიერი ვარ ვიყო დიდი, ძვირფასი სოციალისტური სამშობლოს შვილი და მქონდეს შესაძლებლობა მთელი ჩემი ძალღონე და ცოდნა მოვანდომო მსოფლიოში ყველაზე უფრო მსხვილი ჩვენი სასოფლო მეურნეობის სოციალისტურ გარდაქმნას და გამტკიცებას.

თქვენი ვ. რ. ვილიამსი.

აღმოსავლეთის პაქტის მომხრე თუ მოწინააღმდეგე?

პოლონეთის პასუხის მოლოდინში

პარიზი, 26 ნოემბერი. გაზეთი „ევრი“ წერს, რომ საფრანგეთის მთავრობა არ მოელის პოლონეთის სწრაფ და დადებით პასუხს თავის ნოტაზე აღმოსავლეთის პაქტის შესახებ (პროექტი ხელშეკრულებისა საბჭოთა კავშირსა, გერმანიასა, პოლონეთსა, ლიტვასა, ლატვიასა, ესტონეთსა და ჩეხოსლოვაკიას შორის, ამ ხელშეკრულებას შემდეგში შეუერთდა საფრანგეთი. ხელშეკრულება დადებულია უშიშროების ურთიერთ გარანტიებსა და ურთიერთ დახმარების შესახებ ამ ხელშეკრულების ხელისმომწერ ერთიერთ სახელმწიფოზე სამხედრო თავდასხმის შემთხვევაში).

საფრანგეთის ნოტის აზრი ასეთია: პარიზი ვარშავისაგან მოითხოვს პასუხს — თანახმაა თუ არა საერთოდ პოლონეთი მიიღოს მონაწილეობა აღმოსავლეთის პაქტში? რაც შეეხება ცალკეულ პირობებს, მათი განხილვა შეიძლება მას შემდეგ, რაც პოლონეთი გასცემს დადებით პასუხს.

პოლონეთის მდგომარეობა აქ ძალიან მძიმედ მიაჩნიათ. ერთის მხრით მას არ შეუძლია პირდაპირ განაცხადოს უარი, ვინაიდან ამ შემთხვევაში საბჭოთა კავშირს და საფრანგეთს შეუძლიათ შეთანხმდენ უმისოდაც. მეორეს მხრით, მას არ უნდა იმოქმედოს გერმანიისაგან დამოუკიდებლად. ვარშავაში ელიან გერმანიის წარმომადგენლის რიბენტროპის პარიზში გამგზავრების შემდეგს, სადაც იგი აწარმოებს მოლაპარაკებას ერთალიგაში გერმანიის დაბრუნების პირობების შესახებ.

„ევრს“ გამოჰყავს შემდეგი დასკვნა: „აღმოსავლეთის პაქტი, როგორც ჩანს, ჯერჯერობით არ იქნება დადებული. ეს გარემოება კიდევ უფრო ამართლებს საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის დაახლოების საჭიროებას“ (ადს).

თურქეთ-საბჭოთა კავშირის

სანაპირო კონვენციის ვადის გაგრძელება

ანკარა, 26 ნოემბერი. დიდმა ნაციონალურმა კრებამ ექვსი თვით გააგრძელა ვადა თურქეთ-საბჭოთა კავშირის სანაპირო კონვენციას (ადს).

მთლიანი ფრონტი და საფრანგეთის სოციალისტები

(„პრავდის“ საკ. კორესპონდენტისაგან).

პარიზი, 26 ნოემბერი. გუშინ დამთავრდა სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. მთელი უკანასკნელი დღე მოუნდა კომუნისტური პარტიის წერილის განხილვას.

ამ წერილის განხილვის დროს გამოირკვა, რომ ერთიმხრით, სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელებს ეშინიათ მოქმედების მთლიანობის ჩაშლის, — მათ შეგნებული აქვთ, რომ მასები უარს იტყვიან დაადგენ ამ გზას. მეორე მხრით, — სოციალისტებს ეშინიათ, რომ მთლიანი ფრონტი ძალიან შორს წაიყვანს მათ, ვინაიდან მუშები, რომლებიც მონაწილეობას ღებულობენ მთლიან ფრონტში, რწმუნდებიან კომუნისტური გზის სისწორეში და კომპარტიას უყურებენ, როგორც თავის ნამდვილ ხელმძღვანელ პარტიას.

ბოლოსდაბოლოს, პლენუმმა ვერ შესძლო გამოეტანა რეზოლუცია კომპარტიის წინადადებების გამო. მან მხოლოდ დაადასტურა წერილის მიღება და აღნიშნა, რომ ცენტრალური კომიტეტი შეუდგება პასუხის შემუშავებას კომპარტიის წინადადებაზე. ანგარიშის შედგენა დაევალა ბლიუმს (ადს).

იაპონიის და მანჯურიის სამხედრო მოხელეთა და პოლიციელთა უმსგავსოებანი აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზაზე

აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზის გამგეობის თავმჯდომარის ამხანაგის მოადგილის ამხ. განდურას პროტესტები

ხაბაროვსკი, 24 ნოემბერი. ხარბინიდან მიღებული ცნობებით, 15 ნოემბერს აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. განდურამ გამგეობის თავმჯდომარეს ლი-შაო-გენს გადასცა შემდეგი შინაარსის წერილი:

„უკანასკნელ თვეებში ადგილი ჰქონდა იაპონიის სამხედრო მოხელეების და თანამდებობის პირთა შემდეგ თვითნებურ მოქმედებებს და აღმ.-ჩინეთის რკინისგზის აგენტების ოპერატიულ მუშაობაში ჩარევას. ისინი არღვევდნენ აღმ.-ჩინეთის რკინისგზის უფლებებს, ლახავდნენ მის ინტერესებს და დეზორგანიზაციას შეჰქონდათ გზის მუშაობაში. 26 აგვისტოს ბეიშახეს სადგურიდან იმიანპოსაკენ სადგურის მიერ ნებართვის მიუცემლად და უკვერთხოდ გავიდა იაპონიის ჯავშნოსანი, მიუხედავად იმისა, რომ გზა დაკავებული ჰქონდა დამხმარე მატარებელს, რის შესახებაც ჯავშნოსანი გაფრთხილებული იყო. ორთქლმავალს მართავდა იაპონელი სამხედრო მემანქანე, რომელმაც გზის მემანქანეს არ მისცა ორთქლმავლის წაყვანის ნება. მატარებლების დაჯახება თავიდან იქნა აცილებული მხოლოდ იმის მეოხებით, რომ დამხმარე მატარებელმა შენიშნა ჯავშნიანი მატარებელი და დაბრუნდა იმიანპოს სადგურზე, სადაც მაშინვე მივიდა ეს უკანასკნელიც. 30 აგვისტოს იაპონიის სამხედრო მოხელეებმა იარაღით დამუქრებით აიძულეს გზის აგენტები უძიმის სადგურიდან უნებართვოდ და უკვერთხოდ გაეშვათ ღამით მატარებელი იმიანპოს სადგურისაკენ.

31 აგვისტოს იამლინის სადგურზე № 501 ჯავშნოსნის იაპონელმა ოფიცერმა ორჯერ გაარტყა სილა სადგურის მორიგეს სკორინს, რომელმაც მოითხოვა, რომ განცხადებისათვის (მატარებლის გაგზავნის შესახებ) დაერთოთ ზედნართები.

15 სექტემბერს გუდანციან-მადაოშის გადასარბენის 1295 კილომეტრზე აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზის ლიანდაგზე აღმოჩენილ იქნა ტელეფონის მავთულები, რომლებიც გაჰყავდათ იაპონიის სამხედრო მოხელეებს მათ მიერ დადგმულ სვეტებზე ისე, რომ ეს საკითხი არ შეუთანხმებიათ გზის სამმართველოსთან. მათი სიმაღლე რელსების თავზე—6,3 და 6,9 მეტრი—აღმოჩნდა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზაზე შემოღებულ წესებზე—7,5 მეტრზე უფრო დაბალი. 5 ოქტომბერს იაპონელმა მოხელეებმა იარაღით დამუქრებით აიძულეს გზის აგენტები სადგურ ხანდაოხეძიდან ღამით გაეშვათ სადგურ შიტოუხეძისაკენ დამხმარე მატარებელი.

7 ოქტომბერს იაპონიის სამხედრო მოხელეებმა შანშის სადგურზე აიძულეს გზის აგენტები მიებათ № 52 მატარებლისათვის ღია ვაგონი იაპონიის სამხედრო სარდლობის ტვირთით, მიუხედავად იმისა, რომ მატარებლის შემადგენლობა თავისი წონით სრული იყო და ვაგონის მიბმა არ შეიძლებოდა.

12 ოქტომბერს ერცენცანცაზის სადგურიდან № 301 მატარებელს უნებართვოდ და უკვერთხოდ გაჰყვა ჯავშნიანი მატარებელი № 501, რომლის ორთქლმავალს მართავდა სამხედრო მემანქანე. 20 ოქტომბერს იაპონიის სამხედრო მოხელეებმა თვითნებურად გაუშვეს ჯავშნიანი დრეზინა იმ მიმართულებით, საიდანაც მოდიოდა № 755 მატარებელი, მიუხედავად იმისა, რომ გზის აგენტებმა მას მისცეს გაფრთხილება და სიგნალები გაჩერების შესახებ. იმის გამო, რომ ისრები დაყენებული იყო № 755 მატარებლის მისაღებად, დრეზინა ასცდა რელსებს. მის აწევასთან დაკავშირებით, მატარებელმა დაიგვიანა 2 საათსა და 25 წუთს. 21 ოქტომბერს სადგურის მიერ ნებართვის მიუცემლად, უკვერთხოდ და კონდუქტორთა ბრიგადის გაუყოლებლად იმიანპოს სადგურიდან ვეიშახესაკენ გავიდა ჯავშნიანი მატარებელი № 501. 22 ოქტომბერს ხილინის სადგურიდან გუდანძიანის სადგურისაკენ თვითნებურად გავიდა იაპონიის ჯავშნიანი დრეზინა, რომელსაც მიბმული ჰქონდა ვაგონეტი, რომელშიაც მოთავსებული იყო 15 იაპონელი სამხედრო პირი. ამის გამო № 51 მატარებული მთელ ღამეს დაკავებულ იქნა იაკუნის სადგურზე. 23 ოქტომბერს გუდანძიანის სადგურიდან იაპონიის სამხედრო მოხელეების მუქარით უკვერთხოდ გაიგზავნა № 1032 და 52 მატარებლები.

ბარიმის სადგურზე რკინისგზის ზოლში მთავარი ლიანდაგის ღერძიდან 215 მეტრის მანძილზე მუშათა არტელმა იაპონელის ხელმძღვანელობით თვითნებურად დაიწყო მიწის დაყრა გზის ლიანდაგის პარალელურად მიმავალ გზატკეცილისათვის. დასაყრელ მიწას იქვე იღებენ, რაც ქმნის ორმოებს სიღრმით ერთი მეტრამდე. ასევე თვითნებურად ყრიან მიწას რკინისგზის ზოლის რაიონში ჩალანტუნის სადგურზე. 5 სექტემბერს იაპონიის საამშენებლო ორგანიზაციამ რკინისგზის ზოლის 236 კილომეტრის რაიონში აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზის სამხრეთის ხაზის გასწვრივ თვითნებურად დაიწყო გზატკეცილის მშენებლობა ქალაქ ნუნანის მიმართულებით.

18 სექტემბერს სამდინარო ტრანსპორტის სამმართველოს განკარგულებით შეწყდა მუშაობა, რომელიც წარმოებდა მე-9 სანავთ სადგურო გზის გასაწმენდად და შესაკეთებლად. ამის შედეგად შეწყდა მოძრაობა მე-13 ლიანდაგზე მე-7 და მე-19 ისრებთან. სალხანდაგო დარგის მე-8 უბნის უელტეხილის სანაპირო ლიანდაგზე № 29 ისართან ორი მეტრის მანძილზე იაპონელებმა სუნგარის ნაპირამდე ორიწყობად დასდგეს ხის შენობები, რომლებმაც დახურეს პირველი და მეორე სანაპირო ლიანდაგები ყოველგვარი მოძრაობისათვის. 10 აგვისტოს ჩარომტე-იაკეშის გადასარბენის 244 კილომეტრზე გზის ლიანდაგთან ცხენის ურმებით მოვიდნენ კერძო იაპონელები და დაიწყეს ხრეშის დატვირთვა გზის ლიანდაგზე დაზვინული მიწის ფსკერიდან საამშენებლო სამუშაოებისათვის, რომლებსაც აწარმოებს იაპონიის სამხედრო სარდლობა ჩარომტეს სადგურის მახლობლად. 13 აგვისტოს იაპონიის სამხედრო მოხელეებმა ხაილარ-ხაკეს გადასარბენზე 188 კილომეტრის გადასასვლელთან გზის ადმინისტრაციის უნებართვოდ და მისთვის შეუტყობინებლად ამოთხარეს თხრილები, დასდგეს ტელეგრაფის ბოძები და გააბეს მავთულები, რომლებიც გადიან რკინისგზის ლიანდაგზე. მავთულები გაბმულია ტექნიკური წესების დაუცველად.

აღმოსავლეთ ჩინეთის რკინისგზის ქარხნის მახლობლად მდებარე ტერიტორია, რომელიც გზას ეკუთვნოდა, 1934 წლის დასაწყისში ძალით დაიკავა იაპონიის ჯარმა. 2 ნოემბერს იაპონიის სამხედრო მისიის უფროსმა გზის მმართველის სახელზე გაგზავნილი ტელეფონოგრამით მოითხოვა მუშაობის შეწყვეტა ქარხანაში.

6 ნოემბერს, 3 საათსა და 30 წუთზე, ქ. ხარბინში სამგზავრო ვაგზლის შენობასთან მივიდა იაპონელი ოფიცერი სამი ჯარისკაცის თანხლებით, ოფიცერი ძირს დარჩა, ხოლო ჯარისკაცები ავიდნენ სახურავზე და განზრახ გააფუჭეს ელექტროგაყვანილობა, რომელიც მოწყობილი იყო ვაგზლის შენობის საილუმინაციოდ ოქტომბრის წლისთავის გამო. ელექტროგაყვანილობის გაფუჭების გამო ილუმინაციის ნახევარზე მეტი არ მოქმედებდა. 22 ოქტომბერს გაოერშანის სადგურზე № 51 მატარებელში ჩაჯდა 6 უბილეთო იაპონელი სამხედრო მოხელე. როცა მეთაურმა იაკოვლევმა წინადადება მისცა მათ ჩამოსულიყვნენ მატარებლიდან, იაპონელებმა მას რამდენჯერმე შემოჰკრეს სახეში.

26 ოქტომბერს გუდანძიანის სადგურზე იაპონელმა ჯარისკაცებმა თვითნებურად დაიწყეს თხრილების ამოთხრა და ტელეგრაფის ბოძების დადგმა მესამე კატეგორიის უბნებზე.

გზის და მოსამსახურეთა უფლებების და ინტერესების შელახვის აღნიშნული შემთხვევები არ ატარებენ ამომწურავ ხასიათს და მოყვანილია მხოლოდ როგორც მაგალითი. მოყვანილი მაგალითებიდან აშკარად ჩანს აღმოსავლეთ ჩინეთის რკინისგზის და მისი მოსამსახურეების მიმართ თვითნებობის სურათი. მივაქცევ რა ყურადღებას იაპონიის სამხედრო მოხელეთა და მოსამსახურეთა აღნიშნულ თვითნებურ მოქმედებებს, არსებული წესების დარღვევას და გზის ოპერატიულ მუშაობაში ჩარევას, გთხოვთ მიიღოთ ნამდვილი ზომები აღმოსავლეთ ჩინეთის რკინისგზის და მისი აგენტების უფლებების და ინტერესების დასაცავად.

*

ხაბაროვსკი, 25 ნოემბერი. როგორც ხარბინიდან იუწყებიან, ამხ. განდურამ ლი-შაო-გენს 16 ნოემბერს გაუგზავნა მეორე წერილი, რომელშიაც წერს: „უკანასკნელ დროს მცველი რაზმების და პოლიციის მოხელეთა მიერ ადგილი ჰქონდა აღმოსავლეთ ჩინეთის რკინისგზის უფლებების და ინტერესების შელახვის და მოქმედი წესების დარღვევის მთელ რიგ შემთხვევებს. 16 სექტემბერს ხარბინის სადგურზე № 3 მატარებელში მოთავსდა მცველი ჯარების მე-29 და მე-28 ლეგიონების 41 უბილეთო ჯარისკაცი, რომლებმაც უდოკუმენტებოდ დატვირთეს 10 ყუთი ყუმბარებით და 2 ტყვიამფრქვევი; მიიტანეს ეს ტვირთი სინძიანის სადგურამდე, სადაც გადმოვიდნენ და გადმოტვირთეს უდოკუმენტო ტვირთი.

16 ოქტომბერს იამინის სადგურზე № 12 მატარებელში მე-10 ბრიგადის, მე-13 ლეგიონის მე-3 ასეულის ჯარისკაცებმა სამხედრო მცველთა ვაგონში უდოკუმენტებოდ დატვირთეს 25 ყუთი ყუმბარებით და ყუმბარმტყორცნი. საკლასო ვაგონებში მოთავსდა 52 უბილეთო ჯარისკაცი და 8 ოფიცერი. მიუხედავად გზის აგენტების განცხადებისა, რომ სამგზავრო მატარებელში სასტიკად აკრძალულია ასაფეთქებელი ნივთიერებათა გადატანა, რასაც შეუძლია გამოიწვიოს მგზავრთა უბედური შემთხვევები, მცველი ჯარების მოხელეებმა ორივე შემთხვევაში უარი თქვეს გაეტანათ ტვირთი ვაგონიდან.

21 ოქტომბერს მცველი რაზმების სარდლობამ მადაოშის სადგურიდან დაიმაგოუს სადგურისაკენ სადგურის ადმინისტრაციის ნებადაურთველად და ტექნიკური ექსპლოატაციის წესების დაუცველად გაგზავნა სამხედრო მატარებელი № 512. ასევე მოიქცნენ დაიმაგოუს სადგურზედაც, საიდანაც მატარებელი გაგზავნეს გულინის სადგურისაკენ.

4 ოქტომბერს იმიანპოს სადგურის ტელეგრაფში, რკინისგზის პოლიციის მეოთხე განყოფილების უფროსის განკარგულებით, თვითნებურად დააწესეს ცენზურა სატელეგრაფო კორესპონდენციისა და ტელეფონით ლაპარაკზე. 5 ოქტომბერს სოჩინძის სადგურის ტელეგრაფში გამოცხადდა რკინისგზის პოლიციის მოხელე, რომელმაც თვითნებურად გადაათვალიერა სატელეგრაფო კორესპონდენცია, ხოლო ერთი კერძო დეპეშიდან გადაიღო ასლი. 30 სექტემბერს მაციაოხის სადგურზე რკინისგზის პოლიციამ თვითნებურად დააკავა და პოლიციელ პენსკის ბინაზე წაიღო ექვსი საბანი და სამი ლეიბი, რომლებიც შეძენილი და გამზადებული იყო გასაგზავნად. უნდა აღინიშნოს პოლიციის უკანონო მოქმედება პატიმრების გადაყვანის დროს. გზებზე მოქმედი წესების თანახმად, პატიმრების გადაყვანის დროს საჭიროა, რომ საპროკურორო ზედამხედველობამ სადგურის უფროსს მიმართოს განცხადებით, რომელშიაც უნდა მოითხოვოს ცალკეული ვაგონი ან სამგზავრო ადგილების განსაზღვრული რაოდენობა. უკანასკნელ დროს რკინისგზის პოლიცია და პოლიციის სანაპირო რაზმი არავითარ ანგარიშს არ უწევენ პატიმართა გადაყვანის არსებულ წესებს, რითაც არღვევენ გზის მატერიალურ ინტერესებს.

23 ივლისს რკინისგზის პოლიციის ორმა მოხელემ, რომლებსაც პოგრანიჩნაიას სადგურიდან მიჰყავდათ პატიმრები ხარბინში, თვითნებურად დაიკავეს № 3 მატარებლის პლაცკარტიან ვაგონში მესამე კლასის ოთხადგილიანი კუპე, არ გადაიხადეს პლაცკარტის ღირებულება და არც სხვა მგზავრებს მისცეს ნება დაეჭირათ ამ კუპეში თავისუფლად დარჩენილი ადგილები. 18 აგვისტოს რკინისგზის პოლიციის 8 მოხელემ, რომლებსაც მიჰყავდათ 11 პატიმარი, თვითნებურად დაიკავეს № 3 მატარებელში პოგრანიჩნაიადან ხარბინამდე მესამე კლასის მთელი ვაგონი, არ დაუშვეს ამ ვაგონში სხვა მგზავრები, რის გამო გამოუყენებელი დარჩა 30 ადგილი. 11 სექტემბერს 5 პოლიციელმა, რომლებსაც 11 პატიმარი მიჰყავდათ, № 3 მატარებელში პოგრანიჩნაიადან ხარბინამდე დაიკავეს მესამე კლასის მთელი ვაგონი და არ შეუშვეს შიგ სხვა მგზავრები, რის შედეგად ამ ვაგონში გამოუყენებელი დარჩა 31 ადგილი. 10 სექტემბერს 15 პატიმარს და 15 გამყოლის გადასაყვანად პოგრანიჩნაიას სადგურიდან ხარბინში თვითნებურად იქნა დაკავებული № 3 მატარებლის მესამე კლასის ერთი ვაგონი, რომელშიც არ შეუშვეს სხვა მგზავრები, რის შედეგადაც გამოუყენებელი დარჩა 17 ადგილი. 3 ოქტომბერს 11 პატიმრის და 11 მხლებლის გადასაყვანად პოგრანიჩნაიადან ხარბინამდე № 3 მატარებელში თვითნებურად იქნა დაკავებული მესამე კლასის ერთი ვაგონი, რომელშიაც არ დაუშვეს სხვა მგზავრები, რის შედეგადაც ამ ვაგონში გამოუყენებელი დარჩა 26 ადგილი. 10 ოქტომბერს № 3 მატარებელში 7 პატიმრის და 8 მხლებლის გადასაყვანად პოგრანიჩნაიადან ხარბინამდე თვითნებურად იქნა დაკავებული მესამე კლასის ვაგონი, რომელშიაც არ დაუშვეს სხვა მგზავრები, რის გამო ამ ვაგონში გამოუყენებელი დარჩა 33 ადგილი. უკანასკნელ 5 შემთხვევაში გამყოლებმა მათ მიერ დაკავებულ ვაგონებში არ გაატარეს მატარებლის მოსამსახურე აგენტები, რითაც დაარღვიეს სამგზავრო მატარებლების მომსახურების წესები.

მცველი ჯარების ამოცანას შეადგენს აღმოსავლეთ ჩინეთის რკინისგზის და მისი აგენტების, აგრეთვე მათი უფლებებისა და ქონების დაცვა. პოლიციის ამოცანას შეადგენს კანონიერების და წესრიგის დაცვა საერთოდ, ხოლო რკინისგზის პოლიციის მოვალეობას — აღმოსავლეთ ჩინეთის რკინისგზის და მასზე მოქმედი წესების სპეციალურად დაცვა.

ამავე დროს მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ როგორც მცველი ჯარები, ისე პოლიციაც, კერძოდ, რკინისგზის პოლიცია უხეშად არღვევენ აღმოსავლეთ ჩინეთის რკინისგზის უფლებებს და ინტერესებს და გზაზე მოქმედ წესებს. ასეთი უკანონო მოქმედება იმ ორგანოების მხრით, რომლებიც მოწოდებული არიან დაიცვან აღმოსავლეთ ჩინეთის რკინისგზა და დახმარება გაუწიონ მის სატრანსპორტო საქმიანობას, მე აბსოლუტურად დაუშვებლად მიმაჩნია და გთხოვთ მიიღოთ ზომები, რათა აღმოჩენილ და დასჯილ იქნენ დამნაშავე პირები და აღიკვეთოს მომავალში ასეთი მოქმედება, რაც ხელს უშლის გზის ნორმალურ მუშაობას (ადს).

სსრ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი

ს. ს. რ. კავშირის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა ამხ. **ვლადიმერ პეტრეს-ძე პატიომკინი** დანიშნა ს. ს. რ. კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლად საფრანგეთში და გაათავისუფლა იგი ამ მოვალეობებისაგან იტალიაში.

★

ს. ს. რ. კავშირის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა ამხ. **ადოლფ მარკოზის-ძე პეტროვსკი** გაათავისუფლა ს. ს. რ. კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლის მოვალეობისგან უნგრეთში.

★

ს. ს. რ. კავშირის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა ამხ. **ალექსანდრე არტემის-ძე ბეკზადიანი** გაათავისუფლა ს. ს. რ. კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლის მოვალეობისაგან ნორვეგიაში.

ს. ს. რ. კავშირის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა ამხ. **ალექსანდრე არტემის-ძე ბეკზადიანი** დანიშნა ს. ს. რ. კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლად უნგრეთში.

★

ს. ს. რ. კავშირის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა ამხ. **იგნატე სიმონის-ძე იაკუბოვიჩი** დანიშნა ს. ს. რ. კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლად ნორვეგიაში.

★

ს. ს. რ. კავშირის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა ამხ. **ბორის ევთიმეს-ძე შტეინი** დანიშნა ს. ს. რ. კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლად იტალიაში და გაათავისუფლა იგი ამ მოვალეობისაგან ფინეთში.

საბჭოთა კავშირი და საფრანგეთი

სადილი მარშანდოს პატივსაცემად

პარიზი, 25 ნოემბერი. საბჭოთა კავშირის საქმეთა რწმუნებულმა ამხ. როზენბერგმა გუშინ ვაჭრობის მინისტრის მარშანდოს პატივსაცემად გამართა სადილი. მარშანდო დეკემბრის დამდეგს ჩამოვა მოსკოვში (ადს).

◆

იაპონია-მანჯურიის ჯარების ოპერაციები

ჩახარის პროვინციაში

შანხაი, 26 ნოემბერი. ამ დღეებში იაპონია-მანჯურიის რაზმმა დაიწყო შეტევა დუშიკოუს რაიონში (ჩახარის პროვინცია, კალგანიდან ჩრდილოეთით). ჩინეთის ჯართან შეტაკების შემდეგ რაზმმა დაიხია აღმოსავლეთის მიმართულებით (ადს).

◆

ბოლივია-პარაგვაის ომი

ბოლივიის ჯარები უკან იხევენ

ნიუ-იორკი, 26 ნოემბერი. ჩაკოში ბოლივიის და პარაგვაის ჯარებს შორის გრძელდება გაფთრებული ბრძოლა. პარაგვაის წყაროებიდან მიღებული ცნობების თანახმად, გუშინდელი ბრძოლის დროს პარაგვაის ჯარმა ხელთ იგდო კიდევ ერთი სიმაგრე. ბოლივიის ჯარები უკან იხევენ. (ადს).

◆

„ლუტას“ პირველი ნომერი

პარიზი, 26 ნოემბერი. „ლუმანიტე“ გადმოგვცემს კატალონიის კომპარტიის არალეგალურ გაზეთ „ლუტას“ („ბრძოლა“) პირველი ნომრის შინაარსს. კატალონურ ენაზე გამოცემულ გაზეთის მთელი პირველი ნომერი შეიცავს მრავალფეროვან მასალას, რომელიც აშუქებს კომუნისტური პარტიის მონაწილეობას ამასწინათ წარმოებულ ბრძოლებში. გაზეთს მოყავს ყველა კატალონელ რევოლუციონერების სახელობითი სია, რომლებიც დაიღუპნენ ოქტომბრის ბრძოლებში, აგრეთვე ყველა დაჭრილთა და დაპატიმრებულთა სია. გაზეთი განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ სიაში მოხსენებულია ბალტრიკის, კონდის და ალბას გვარები, რომლებიც გმირულად დაიხოცნენ მოსამსახურეთა პროფკავშირის სადგომის დაცვის დროს (ადს).

◆

ამხ. ლიტვინოვმა და პოტიომკინმა ინახულეს რომენ როლანი

ჟენევა, 26 ნოემბერი. გუშინ ამხ. ლიტვინოვმა და პოტიომკინმა ინახულეს რომენ როლანი.

◆

ამერიკაში გამოიცა ამხ. სტალინის წიგნი „ლენინიზმის საფუძვლების შესახებ“

ტირაჟი 100.000 ეგზემპლიარი მთლიანად გასაღდა.

ნიუ-იორკი, 27 ნოემბერი. გამომცემლობა „ინტერნეიშენელ პაბლიშერსმა“ გამოუშვა ამხ. სტალინის წიგნი „ლენინიზმის საფუძვლების შესახებ“ 100.000 ეგზემპლიარის ტირაჟით. „დეილი უორკერის“ გადმოცემით, წიგნი „ლენინიზმის საფუძვლების შესახებ“ სწრაფად გასაღდა ამერიკის შეერთებული შტატების მთელ რიგ ქალაქებში. კომუნისტური პარტიის მიერ ნიუ-იორკში მოწვეულ საარჩევნო კრებაზე წიგნის 1.700 ეგზემპლიარი 5 წუთზე ნაკლებ ხანს გაიყიდა. ჩიკაგოში ოქტომბრის რევოლუციის 17 წლის თავისათვის მიძღვნილ კრებაზე გავრცელდა 1.000 ეგზემპლიარი. კლივლენდში „ლენინიზმის საფუძვლების შესახებ“ რამდენიმე წუთს გასაღდა. „დეილი უორკერი“ აღნიშნავს, რომ ასეთი ცნობები მოდის ამერიკის შეერთებული შტატების სხვა ქალაქებიდანაც. (ადს).

პარტიულ თემაზე

პარტმუშაობის ფორმალურად გარდაქმნის წინააღმდეგ

პარტიის მე-17 ყრილობაზე ამხ. სტალინმა თავის საპროგრამო მოხსენებაში მიგვითითა, რომ „ჩვენ ცოტა დეფექტები და დარღვევები არა გვაქვს მუშაობაში, ამაში დამნაშავენი ვართ მხოლოდ ჩვენ, ჩვენი ცუდი საორგანიზაციო ხელმძღვანელობა—ამიტომ საჭიროა „აღმოვფხვრათ ჩვენი საორგანიზაციო მუშაობის ჩამორჩენა პარტიის პოლიტიკური ხაზის მოთხოვნისაგან“.

ტფილისის გარეუბნის რაიონში და მცხეთის პოლიტგანყოფილების სამოქმედო უბანში პარტორგანიზაციების მუშაობა არადამაკმაყოფილებელია. პარტიული მუშაობის გარდაქმნა ფორმალურად არის ჩატარებული.

პარტიული მუშაობის გარდაქმნისას არ გატარებულა საწარმოო და ტერიტორიალური პრინციპი. თითქმის ყველა საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციაში გაერთიანებული არიან მუშა-მოსამსახურენი და პირიქით, ტერიტორიალურ პარტორგანიზაციებში—კოლმეურნენი.

სრულიად მივიწყებულია საკანდიდატო და პარტიულ-კომკავშირული ჯგუფების შექმნა კოლმეურნეობებში. არის მთელი რიგი კოლმეურნეობები (წეროვანი, სხალტბა, მისაქციელი, ნაოზა, გიორგისტანი, ნატახტარი), სადაც შესაძლებელია საკანდიდატო და პარტიულ-კომკავშირულ ჯგუფების შექმნა, მაგრამ უხელმძღვანელობის შედეგად, ესენი ხოფსაბჭოებთან ტერიტორიალურ პარტორგანიზაციებში არიან გაერთიანებული.

კოლმეურნეობებში ერთეული კომუნისტები (გიორგისტანი, ლამი, სხლატბა, მუხრანი) უმოქმედოდ არიან და არ იციან რა უნდა აკეთონ, რადგანაც მათთვის ინსტრუქტაჟი და ხელმძღვანელობა არავის გაუწევია. რაიკომის ინსტრუქტორებს არ უმუშავიათ იმისათვის, რომ შეესწავლათ ცალკეული კომუნისტები. კოლმეურნეობებში მოიპოვებიან ისეთი კომუნისტები, რომლებიც არა თუ პარტიულ დავალებებს და დატვირთვას არ ასრულებენ პირნათლად, არამედ ელემენტარულ დავალებებსაც კი გაურბიან.

სრულიად არა-დამაკმაყოფილებელია მუშაობა თანაგრძნობთა ჯგუფების შექმნისათვის. პარტორგანიზაციებმა დღემდე არ იციან თუ ვინ უნდა მიიღონ თანაგრძნობთა ჯგუფებში.

პარტიული სწავლება უყურადღებოდ არის მიტოვებული, მივიწყებულია ცალკეულ კომუნისტთა საერთო მომზადების და პოლიტიკური ცოდნის ამაღლების კონკრეტული საკითხები.

არიან მთელი რიგი კომუნისტები და პარტიული ორგანიზაციები, რომლებსაც მე-17 პარტყრილობის დადგენილებები სრულებით არ დაუმუშავებიათ და პარტმუშაობის გარდაქმნის რაობა არ იციან. პარტორგანიზატორმა ამხ. მ. მელაძემ განაცხადა, რომ „განსხვავება ძველ უჯრედებსა და პირველად პარტორგანიზაციებს შორის სახელწოდების შეცვლაში გამოიხატებაო“.

უმნიშვნელოვანეს ნაკლს საკოლმეურნეო პარტორგანიზაციების მუშაობაში აგრეთვე წარმოადგენს ის, რომ კოლმეურნეობებში მტკიცე შრომის დისციპლინის შექმნას ყურადღებას არ აქცევენ. უმეტეს კოლმეურნეობაში ცალკეული კომუნისტები ზარმაცობენ, სამუშაო დღეებს აცდენენ. კოლმეურნეები არ იცნობენ გამომუშავების ნორმებს, არ ხდება შრომადღეების წიგნაკებში ჩაწერა, თუ ვინიცობაა ჩაწერეს, მაინც არღვევენ აღრიცხვის ყველა წესს. ასეთი მუშაობის შედეგი იყო, რომ კოლმეურნეობებში ქონების გაფლანგვა მოხდა. (გიორგისტანი, მისაქციელი და სხვ.).

სრულიად მივიწყებულია შრომის სოციალისტური ფორმები: არ არის გაშლილი კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებს შორის სოცშეჯიბრება და დაკვრელობა.

ყველა ამ დეფექტის აღმოსაფხვრელად საჭიროა სერიოზული მუშაობა. გარეუბნის რაიკომმა და პოლიტგანყოფილებამ პარტიული მუშაობის ნამდვილად გარდაქმნას სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს.

ალ. გირკელიძე.

„არაფერი არ მესმის“

ფაბრიკა „მკერავი“ № 1-ში პარტიის ისტორიის შემსწავლელი წრის პროპაგანდისტი ამხ. პ. ტრაპაიძე ჩვეულებრივად ადრე გამოცხადდა. უკვე საღამოს 4 საათია, ფაბრიკაში კი მუშაობა 3 ნახევარ საათზე თავდება, მაგრამ მსმენელები ჯერ კიდევ არ ჩანან.

— რაშია საქმე?

— მაწამეს პირდაპირ, მაწამეს—დაიწყო პროპაგანდისტმა—ყოველთვის 15 წუთით ადრე მოვდივარ, არ დამიგვიანდეს მეთქი მაგრამ პირიქით მსმენელები თვითონ იგვიანებენ. მე მასწავლებელი ვარ საღამოობით მოწაფეებს ვასწავლი და ამათ მიზეზით სასწავლებელში ხშირად მაგვიანდება.

— მერე რათ არ დასვით საკითხი პარტკომში?

— კი დავსვი, მაგრამ ყურადღებას ვინ გაქცევს?

*

როგორც იყო ეშველა. ხუთის ნახევარზე მსმენელები დიდის ვაი-ვაგლახით შეგროვდნენ სამეცადინო ოთახში. დაიწყო მეცადინეობა.

— ამხანაგებო, ჩვენ უკვე რამდენიმეჯერ ჩავატარეთ მეცადინეობა, დღეს გავიხსენოთ ზოგიერთი ადგილები გავლილი მასალებიდან.

მსმენელები გაინაბნენ. კუთხეში მჯდომმა მუშა ქალმა ა. ათაბეგოვამ რაღაც უხერხულობა იგრძნო, რაც პროპაგანდისტმა შეამჩნია და მიმართა:—ამხანაგო ათაბეგოვა, გვიპასუხეთ, საიდან იწყება ბოლშევიზმის ისტორია?—არაფერი არ მესმის, ისიც არ ვიცი თუ რას ნიშნავს სიტყვა „ისტორია“—დარცხვენით სთქვა მან.

გარდა ამ კითხვისა პროპაგანდისტმა დაუსვა ამხ. ათაბეგოვას კიდევ რამდენიმე მარტივი კითხვები, მაგრამ მან ვერც ერთ კითხვაზე ვერ შესძლო პასუხის გაცემა. ათაბეგოვა პარტიის კანდიდატია, წარმოებაში კარგად მუშაობს, მხოლოდ პოლიტმომზადების მხრივ ძალზე ჩამორჩენილია: ის უბრალო ელემენტალურ საკითხებშიაც ვერ ერკვევა, ეს იმიტომ, რომ ის მცირემცოდნეა. ამხ. ათაბეგოვა საკანდიდატო პოლიტსკოლაში უნდა მოხვედრილიყო, მაგრამ პოლიტსკოლების ცუდი დაკომპლექტების წყალობით ასე არ მოხდა. ასეთი შემთხვევები ერთი და ორი კი არ არის.

გარდა ათაბეგოვასი მოიპოვებიან კიდევ მთელი რიგი ამხანაგებისა, რომლებსაც ძალიან უძნელდებათ პარტიის ისტორიის შემსწავლელი წრის პოლიტსკოლებში მეცადინეობა. ასე, მაგ, პარტიის კანდიდატი მუშა ქალი ამხ. ა. ჟუჟიკაშვილიც პოლიტმომზადების მხრივ უსუსტესია, მაგრამ ის რატომღაც მაღალი ტიპის პოლიტსკოლაში „მეცადინეობს“.

გარდა ამისა პოლიტსკოლების დაკომპლექტების დროს პარტკომმა კიდევ ერთი შეცდომა დაუშვა: მათ პირველი ცვლის პოლიტსკოლებში ჩარიცხეს ამხანაგები, რომლებიც მეორე ცვლაში მუშაობენ. ასე მაგ. პარტიის წევრი ამხ. მარიამ არუთინოვა მუშაობს მეორე ცვლაში, ხოლო ჩარიცხულია 1-ლი ცვლის პოლიტწრეში. ასეთივე მდგომარეობაში არის ჩავარდნილი პარტიის წევრი ამხ. ვანო ედიბარაშვილიც. მას საშუალება არა აქვს სისტემატიურად დაესწროს პოლიტსკოლის მეცადინეობას, რადგან ის მეცადინეობის დროს წარმოებაში მუშაობს.

გარდა ცუდი დაკომპლექტებისა ფაბრიკა „მკერავი“ № 1-ში პოლიტსკოლების ნორმალურ მეცადინეობას დიდად უშლის ხელს საჭირო ლიტერატურის ნაკლებობა. ქართულ პოლიტსკოლაში მსმენელების თითქმის ნახევარს არა აქვთ პარტიის ისტორიის სახელმძღვანელოები.

სტალინის რაიკომთან არსებულ პარტკაბინეტმა ვერ შესძლო უზრუნველეყო სახელმძღვანელოებით რაიონის პოლიტსკოლები, კერძოდ ფაბრიკა „მკერავის“ პოლიტსკოლა. აქ ზოგიერთმა ამხანაგმა, როგორც იყო მოახერხა შეეძინა საჭირო ლიტერატურა და ისინი კარგადაც მეცადინეობენ. ასეთების რიცხვს ეკუთვნის პალტოების საამქროს მუშა, პარტიის წევრი, ამხ. გ. ბერიკაშვილი, გრიშა გაბუნია და პარტიის კანდიდატი ამხ. სონია დოლიძე. ეს ამხანაგები მართლაც კარგად ითვისებენ მიცემულ განაკვეთებს.

ფაბრიკა „მკერავი“ № 1-ის პარტიულმა კომიტეტმა სასწრაფო ზომები უნდა მიიღოს პოლიტსკოლების მსმენელების საჭირო ლიტერატურით უზრუნველსაყოფად, ამასთან ერთად საჭიროა კომიტეტმა თავის დაკომპლექტებულ პოლიტსკოლებს ხელმეორედ გადახედოს.

შრ. აროსია.



სტუდენტთა ქალაქში უსმენენ რადიოს.

აკ. ქაროსანიძე

პარტიული სწავლების მაღალი ხარისხისათვის

საშემოდგომო-საზამთრო პარტიული განათლების ქსელში როგორც ქალაქად, ისე სოფლად უკვე დაიწყო მეცადინეობა.

გადაჭრით უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე სასწავლო წელს პარტიულ სწავლებას ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები გაცილებით მომზადებული შეხვდნენ, ვიდრე წინა წლებში. პარტიული მასების მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის რევოლუციური თეორიით შეიარაღება მთელი პარტიული ორგანიზაციის ყურადღების სფეროში მოექცა. მიღწეულ იქნა პარტიის წევრ-კანდიდატთა 96 პროცენტით ჩაბმა პარტიული განათლების ქსელში, გასული წლის 90 პროც. ნაცვლად; სკოლების დაკომპლექტება ადგილებზე ჩატარდა მოფიქრებულად, პარტიის წევრ-კანდიდატების ამა თუ იმ ტიპის პოლიტსკოლაში ჩაბმის დროს გათვალისწინებული იყო მათი იდეურ-თეორიული მომზადების დონე და ისინი ინდივიდუალურად შერჩეულ და განაწილებულ იქნენ სხვადასხვა ფორმის სკოლებში; ზოგიერთი რაიონის გამოკლებით (ადიგენი, ზემო სვანეთი, აღბულახი, გორი და სხვ.), პარტიული სკოლების დაკომპლექტება დამთავრდა საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის მიერ განსაზღვრულ ვადისათვის—ქალაქად 25 სექტემბერს და სოფლად 10 ოქტომბერს; მთელმა რიგმა რაიონებმა (ხონი, ქუთაისი, სიღნაღი და სხვ.) თავის დროზე შეარჩიეს და გამოჰყვეს პროპაგანდისტებად „პარტიის შემოწმებული და კვალიფიციური წევრები“. პარტიული განათლების ქსელი სასწავლო წლის დაწყებამდე უზრუნველყოფილი იყო ლიტერატურით.

საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის სისტემატიური ხელმძღვანელობის შედეგად ადგილებზე შეიქმნა ყოველგვარი პირობები პარტგანათლების ქსელში სასწავლო წლის განსაზღვრულ ვადისათვის დასაწყებად.

მიუხედავად ზემოაღნიშნულ მიღწევებისა, მთელ რიგ რაიონებში (ბორჯომი, ადიგენი, ბაღდათი, სამტრედია და სხვ.) პარტიული სკოლების დაკომპლექტების, პროპაგანდისტების შერჩევის, პარტიის წევრ-კანდიდატების 100 პროცენტით პოლიტსკოლებში ჩაბმის საქმეში ადგილი ჰქონდა სერიოზულ დეფექტებს. მაგალითად, ბორჯომის რაიონში ლიკანის (ჯაკის სახელობის დასასვენებელ სახლში მოწყობილი იყო დაწყებითი პოლიტსკოლა. პირველ მეცადინეობის ჩატარებისთანავე გამოირკვა, რომ მსმენელთა თეორიული მომზადების დონე არ შეეფერებოდა დაწყებითი სკოლის მსმენელთა მომზადების დონეს. ამის გამო დაწყებითი სკოლა გადაკეთებულ იქნა საკანდიდატო სკოლად.

მსგავს მოვლენებს ადგილი ჰქონდა ხონის, ცაგერის, ზესტაფონის, ბაღდათის და სხვა რაიონებში. ეს ფაქტი ნათელყოფს იმ გარემოებას, რომ ზოგიერთი პირველადი პარტიული ორგანიზაციები ფორმალურად მიუდგნენ პარტიის წევრ-კანდიდატების პოლიტგანათლების ქსელში შერჩევა-განაწილებას. სკოლების დაკომპლექტების დროს მთელ რიგ პირველად პარტორგანიზაციებს და მათ ხელმძღვანელებს დაავიწყდათ საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის 19 სექტემბრის დადგენილება, სადაც ნათქვამია, რომ **პარტიული სკოლების და წრეების დაკომპლექტების დროს ზუსტად იქნეს გათვალისწინებული პარტიის თვითეული წევრის, კანდიდატის და თანამგრძნობის პოლიტიკური მომზადების დონე. არ იქნას დაშვებული მსმენელთა პოლიტსკოლებში მექანიკურად შერჩევა. სკოლების დაკომპლექტება უშუალოდ დაეკისროთ პირველადი პარტორგანიზაციების პარტკომების მდივნებს“.**

ცენტრალური კომიტეტის ეს დირექტივა ავალებდა პარტკომების მდივნებს და პარტორგანიზატორებს პირადი პასუხისმგებლობით, ინდივიდუალური წესით გაეცნობოდნენ პარტიის თვითეულ წევრსა და კანდიდატს, ცოცხალ საუბარში გამოერკვიათ მათი იდეურ-თეორიული მომზადების დონე და ამის მიხედვით შეერჩიათ ისინი შესაფერ პოლიტსკოლებში. ადგილობრივ პარტორგანიზაციებს ამისათვის ჰქონდათ დროიც და შესაძლებლობაც. სანამ ჯერ კიდევ გვიან არ არის, სასწრაფოდ უნდა შევამოწმოთ პოლიტსკოლებში ჩაბმულ მსმენელთა პოლიტიკური მომზადების დონე და გავანაწილოთ ისინი შესაფერ სკოლებში, რადგან უდავოა ის გარემოება, რომ ყოველწლობით ერთი და იმავე მასალის გავლა მოსაწყენი და არასაინტერესო ხდება, ასევე იმათთვისაც, რომელთა მომზადების დონე არ შეეფერება ამა თუ იმ სკოლის დასამუშავებელ პროგრამას.

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ავალებდა ადგილებს, რომ პროპაგანდისტებად შეერჩიათ მხოლოდ პარტიის წევრები და ისიც „პარტიის შემოწმებული და კვალიფიციური წევრები“. სამწუხაროდ, ეს მითითება ზოგიერთ რაიონში (ცაგერი, ჩოხატაური, ზემო-სვანეთი, ონი) შესრულებული არ არის. ამ რაიონების ზოგიერთ სოფლებში პროპაგანდისტებად გამოყვეს კომკავშირელები, რაც დაუშვებელია.

მთელმა რიგმა რაიონებმა (ზემო-სვანეთი, ონი, ადიგენი, აღბულახი) ვერ უზრუნველყვეს პარტიის წევრ-კანდიდატთა 100 პროცენტით ჩაბმა პარტგანათლების ქსელში. მაგალითად, ადიგენის რაიონში პარტიულ სწავლებაში ჩაბმულია პარტიის წევრთა 60 პროცენტი, გორის, აღბულახის და ზემო-სვანეთის რაიონის პოლიტსკოლებში გაერთიანებულია პარტიის წევრ-კანდიდატთა 80—86 პროცენტი. ეს ფაქტი ერთხელ კიდევ ცხადჰყოფს იმ გარემოებას, რომ პარტიული ორგანიზაციები არასერიოზულად ეკიდებიან პარტიული მასების იდეურ-თეორიული მომზადების ამაღლებისათვის ბრძოლას. ასეთი განწყობილება ძირშივე უნდა აღიკვეთოს. ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა სასწრაფოდ უნდა მიაღწიონ პარტიის წევრ-კანდიდატთა 100 პროცენტით ჩაბმას პარტიული განათლების ქსელში.

ზოგიერთმა რაიონულმა კომიტეტმა ჯერ კიდევ ვერ შესძლო პარტიული კაბინეტი გადაექცია პარტსწავლების ნამდვილ ლაბორატორიად, მთელ რიგ რაიონებში (ბორჯომი, ზესტაფონი, ჩოხატაური, ზუგდიდი და სხვ.) პარტკაბინეტები გადაქცეული არის პარტსწავლების მიმდინარეობის ცნობების შემკრებ დაწესებულებად. ზესტაფონის რაიონში კი პარტკაბინეტი ასრულებს წინათ რაიონულ კომიტეტთან არსებულ კულტპროპგანყოფილების მოვალეობას. ზოგიერთ რაიონში (ყარაია, წალკა, თელავი) პარტკაბინეტი წიგნების გაცემით კმაყოფილდება, ხოლო ზოგიერთში (ხონი, საგარეჯო და სხვ.) პარტკაბინეტი მხოლოდ ქაღალდზე არსებობს.

19 სექტემბრის დადგენილებით საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ი ადგილებს მიუთითებდა, რომ სარაიონო პარტიულ ორგანიზაციებს განსაკუთრებული ყურადღება მიექციათ პარტკაბინეტების მუშაობისათვის, უზრუნველეყოთ ისინი მომზადებული და კვალიფიციური მუშაკებით. პარტკაბინეტები სარაიონო ცენტრებში უნდა წარმოადგენდენ პარტიული სწავლების ნამდვილ ლაბორატორიას. აქ არა მარტო პროპაგანდისტი უნდა ღებულობდეს სათანადო მეთოდურ რჩევა-დარიგებას, არამედ, ისინი ამასთან ერთად, უნდა დაეხმარონ პარტიულ აქტივს ლიტერატურით, ცოცხალი საუბრების გამართვით საერთაშორისო მნიშვნელოვან საკითხებზე. ჩვენი სარაიონო პარტკაბინეტების დიდი უმრავლესობა ასე როდი მუშაობს.

პარტიული კაბინეტის მუშაობაზე დიდად არის დამოკიდებული პარტიულ სწავლება და ამა თუ იმ საკითხის დამუშავებისას პარტიული აგიტაციისა და პროპაგანდისტის ხარისხი, პროპაგანდისტებთან სემინარების ჩატარება, პარტიული აქტივის შესაფერი ლიტერატურით მომარაგება და სხვ. პარტკაბინეტის მუშაკის მუშაობა არ უნდა შემოიფარგლოს პარტკაბინეტის ოთხი კედლით. ის უნდა გასცილდეს პარტკაბინეტის კედლებს, მივიდეს ადგილებზე, შეამოწმოს ამათუიმ პროპაგანდისტის გადაცემის მეთოდი და დეფექტების შემჩნევის შემთხვევაში აღმოუჩინოს მას სათანადო მეთოდური დახმარება. პარტკაბინეტის მუშაკი პარტიული სწავლების ხარისხს დიდათ შეუწყობს ხელს, თუ პროპაგანდისტების სემინარზე საჯაროდ გამოიტანს რომელიმე ამხანაგის მიერ სანიმუშოდ ან ცუდათ ჩატარებულ საუბრის შედეგებს, დაამუშავებს და გააცნობს მათ გამოცდილებათა გაზიარებისათვის. იმ უდიდეს სამუშაოთა შესრულებას, რომლებიც პარტკაბინეტებს აქვთ დაკისრებული, შესძლებენ მხოლოდ პოლიტიკურად მომზადებული კვალიფიციური ამხანაგები. ამიტომ სარაიონო პარტიულმა კომიტეტებმა სასწრაფოდ უნდა გადაათვალიერონ და შეამოწმონ პარტკაბინეტების მუშაკთა შემადგენლობა, უფრო მომზადებული ამხანაგებით შევსების თვალსაზრისით.

პარტგანათლების ქსელში სწავლის დაწყება მხოლოდ პირველი ნაბიჯია პარტიული სწავლების მაღალი ხარისხისათვის ბრძოლაში. ახლა მთავარი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ რაიონულმა კომიტეტებმა და პოლიტგანყოფილებებმა ნამდვილი კონკრეტული და ოპერატიული ხელმძღვანელობა გაუწიონ პოლიტსკოლების მუშაობას. პირველ რიგში რაიონული კომიტეტების გამსვლელმა პასუხისმგებელმა ინსტრუქტორებმა უნდა შეიგნონ თავიანთ სამოქმედო ზონებში პარტიული სწავლების მაღალი ხარისხით ჩატარების მთელი პასუხისმგებლობა. პარტიული სწავლება—პარტიული მუშაობის ერთ-ერთი მთავარი დარგია. ინსტრუქტორი ისევე პასუხისმგებელია პარტიული სწავლების დაყენებისათვის თავის ზონაში, როგორც პარტიული მუშაობისათვის. ამიტომ ჩვენ მოვითხოვთ რაიკომის თვითეული ინსტრუქტორისაგან, რომ ის თავის სამოქმედო ზონაში გახდეს პოლიტსკოლების არა მარტო შემმოწმებელი, რაიკომის ინფორმატორი და ფაქტების უბრალო რეგისტრატორი, არამედ პარტიული სწავლების ორგანიზატორიც.

მაგრამ ჯერ კიდევ არ მიგვიღწევია იმისთვის, რომ რაიკომის ინსტრუქტორები ამავე დროს იყვნენ პარტსწავლების ორგანიზატორებიც. მაგალითად, ბორჯომის რაიკომის ინსტრუქტორმა ამხ. ბოჯგაძემ არ იცის, თუ როგორ ჩატარდა 2 ნოემბერს მის ზონაში პარტიული მეცადინეობა. ბორჯომის რაიონული კომიტეტის გამსვლელ ინსტრუქტორების ყურადღება ჯერ კიდევ საკმაოდ არ არის გამახვილებული პარტიული სწავლებისადმი. ამის გამო ბორჯომის რაიონის ზოგიერთ ადგილებში, როგორც ქალაქად, ისე სოფლად, პირველ მეცადინეობაზე მსმენელთა დასწრების პროცენტი დაბალი იყო.

რაიონული კომიტეტების პასუხისმგებელ ინსტრუქტორებს არ უნდა ეპატიოთ პარტიული განათლების ქსელისადმი ასეთი უყურადღებობა. რაიონულმა კომიტეტებმა ინსტრუქტორის მუშაობის შეფასების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ, თუ როგორ აქვთ დაყენებული ინსტრუქტორებს თავიანთ სამოქმედო ზონებში პარტიული სწავლება.

შემოდგომა-ზამთრის პარტიული სწავლების მაღალხარისხოვნად ჩატარებისათვის ბრძოლაში უდიდეს როლს შეასრულებს სოციალისტური შეჯიბრება. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მუშაობის ეს მეთოდი პარტგანათლების ქსელში სათანადოდ არ არის გამოყენებული. ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები თუმცა აწყობენ ცალკე სკოლებსა და პროპაგანდისტებს შორის შეჯიბრებას, მაგრამ ეს მათ ვერ მიჰყავთ ბოლომდე. არ ხდება შეჯიბრების შედეგების შემოწმება. ამის გამო სოციალისტური შეჯიბრება უმრავლეს შემთხვევაში ტარდება ფორმალურად, კაბინეტურად. სოცშეჯიბრების ფორმალურად მოწყობას პარტგანათლების ქსელში სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს. პარტიულმა კომიტეტებმა და პოლიტგანყოფილებებმა უნდა მიაღწიონ ნამდვილი სოცშეჯიბრების დანერგვას და მის გამოყენებას პარტიული სწავლების მაღალი ხარისხისათვის ბრძოლის საქმეში. ამ საქმეს სათავეში უნდა ჩაუდგნენ რაიკომის ინსტრუქტორები, პირველადი პარტორგანიზაციების პარტკომების მდივნები და პარტორგანიზატორები. რაიკომის ინსტრუქტორებმა სისტემატიურად უნდა მოიწვიონ თავიანთ სამოქმედო ზონებში პარტორგანიზატორები და პროპაგანდისტები სოცშეჯიბრების დადებულ ხელშეკრულებათა შესრულების შესამოწმებლად და ეს შედეგები დაამუშაონ მთელ პარტიულ ორგანიზაციებში. მუშაობის ასეთი მეთოდი უსათუოდ გაზრდის თვით პროპაგანდისტის და მსმენელის პასუხისმგებლობას, რათა მათ მაღლა ასწიონ სწავლების ხარისხი.

რაიკომის მდივნები და პოლიტგანყოფილების უფროსები არ უნდა დაკმაყოფილდნენ ინსტრუქტორების და პროპაგანდისტების ინფორმაციით. საჭიროა თვით რაიონული კომიტეტების მდივნებმა, მოადგილეებმა და პოლიტგანყოფილებათა მუშაკებმა სისტემატიურად შეამოწმონ ადგილებზე პოლიტსკოლების, პროპაგანდისტების და თვით პოლიტსკოლის მსმენელთა მუშაობა. რაიონული კომიტეტის ბიუროზე, როგორც წესი, სისტემატიურად უნდა ისმინონ ცალკე პროპაგანდისტების და პარტორგანიზატორების მოხსენებანი ამ დარგში მათი მუშაობის შესახებ.

პარტიული სკოლების ასეთი სისტემატიური შემოწმება, ოპერატიული და კონკრეტული ხელმძღვანელობა რაიკომის და პოლიტგანყოფილების მხრივ კიდევ უფრო მაღლა ასწევს პარტიული სწავლების ხარისხს.

აქ ცუდად იცავენ სანიტ-ჰიგიენურ წესებს

ქუთაისის საკონსერვო ქარხნის საამქროებში მიმავალ მუშებისათვის თეთრი ხალათის ჩასაცმელ ოთახში ხმაურობაა. დერეფანი თანდათან ივსება მუშებით, იმართება რიგები.

12 საათის შაბაში დამთავრდა, მუშაობა ათი წუთია დაიწყო. აქ დერეფანში კი თეთრი ხალათის მიღებაზე უშველებელი რიგია შექმნილი.

რაშია საქმე? — ირკვევა, რომ ხალათების მიწოდებაზე მუშაობს მხოლოდ ერთი ქალი, რომელიც ვერ ასწრებს ხალათების დარიგებას. ამის გამო 15—20 წუთი სამუშაო დროის ყოველთვის იკარგება. ხალათების ჩასაცმელი დერეფანი მეტად ვიწროა და ამავე დროს უსუფთაოც.

წესით ხალათები ყველა მუშისათვის სუფთა უნდა იყოს. აქ კი მუშების 50 პროც. ასეთს ვერ იღებენ. ხალათები სისტემატიურად არ ირეცხება, განსაკუთრებით ხორცის ხაზის მუშებისა. ფაქტი: ხორცის ხაზის მუშა ჩიკოვი, რომელსაც ჭუჭყიანი ხალათი ეცვა, ჩვენს შეკითხვაზე, თუ რატომ აცვია უსუფთაო ხალათი — ასე განაცხადა:

— ორჯერ მივმართეთ საამქროს ადმინისტრაციას, რომ გამოეცვალათ ხალათი, მაგრამ უარი მითხრა სამაგიერო არ გვაქვს". ანტისანიტარია დამახასიათებელია დანარჩენი საამქროების მუშებისათვისაც.

ვნახოთ რა მდგომარეობაშია საამქროები სანიტარიის მხრივ. მზა ნაწარმის და სათუნუქე საამქროებში შესავალთან დღემდე არ არის ფეხის გასაწმენდი. საორთქლე საამქროში შხაპის მილები ცუდადაა გაყვანილი. ისინი დამსკდარია, რის გამოც წყალი იატაკზე იღვრება. საკონსერვო საამქროში კანალიზაცია უვარგისია. წყალი კანალიდან გადადის კედლებზე და იატაკზე ლექავს უსუფთაობას. ასეთი არანორმალური მდგომარეობის გამოსასწორებლად თავს არავინ იწუხებს.

წყლის საქაჩავ სადგურში მილების სამკაპები მოშლილია, ზოგიც დაჟანგულია. აქ დაზგებს არ ეტყობა მოვლა-პატრონობა. საორთქლე საამქროს და ლაბორატორიის შენობას სახურავის შეუკეთებლობის გამო აწვიმს. სათუნუქე საამქროს საწყობში აწყვია თუნუქის ნაჭრები, რომელსაც აწვიმს და იჟანგება.

ყურადღება არ ექცევა მუშების მიერ სანიტარული წესების დაცვას. ხორცის საამქროში მუშებს ფრჩხილები ჭუჭყიანი აქვთ. პირსაბანები აქ საკმაოა, მაგრამ იშვიათად ნახავთ სუფთა ხელსახოცს და საპონს. უამისოდ კი შეუძლებელია ჰიგიენის დაცვა. მართალია, აბანო არის, შხაპიც, მაგრამ იგი რომ სათანადოთ არ არის მოწყობილი, ამიტომ მუშები მით ვერ სარგებლობენ.

ქარხნის ეზოში საპირფარეშოები გაუწმენდელია. ზოგს კარებიც არა აქვს. ეზოში იშვიათად შეხვდებით სანაგვე ყუთებს. მუშათა საცხოვრებელ ბინებში თითო ოთახში 12—15 კაცი ცხოვრობს. ადგილი აქვს ანტისანიტარიას.

ზემოდ მოყვანილი ფაქტები აშკარად მოწმობენ, რომ ქუთაისის საკონსერვო ქარხნის სამკუთხედს ვერ გამოუტანია საჭირო დასკვნები ც.-კ-ის გასული წლის 22 დეკემბრის დირექტივიდან.

სანიტარულ - ჰიგიენური პირობების ასეთ მდგომარეობას დაუყოვნებლივ უნდა მოეღოს ბოლო.

„კომუნისტის“ ბრიგადა:

ნ. ცისკარაძე
ვ. გოლქვაძე
ჯ. ხაბურზანია
შ. ჯანჯღავა.
ი. ოსინი
ვ. ლალიაშვილი და სხვ..

გუდაუთის რაიონში თამბაქოს დამზადება თვითდინარეობაზეა მინდობილი

გუდაუთის რაიონის 4 მიმღებ პუნქტში თამბაქოს დამზადების პირველ დღეს მიღებული იყო თამბაქოს უმნიშვნელო რაოდენობა. ეს გაკვეთილი უნდა გაეთვალისწინებია რაიონულ ორგანიზაციას და სათანადოდ გაეშალა მუშაობა. მაგრამ ეს არა ჩანს. ამის შედეგია, რომ უკანასკნელ დღეებშიც არ მომხდარა გადამჭრელი გარდატეხა თამბაქოს დამზადებაში. ჩაბარება ისევ თვითდინარეობაზეა მინდობილი.

რით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ 16 ნოემბერს დამზადებული იყო მხოლოდ 51 შეკვრა თამბაქო? 17 — და 18 ნოემბერს ამაზე ცოტა უფრო მეტი დამზადდა, მაგრამ ჩაბარების ტემპები მაინც ვერ უზრუნველყოფენ ნოემბრის გეგმის — 119,5 ტონა თამბაქოს ვადაზე ჩაბარებას.

განსაკუთრებით სუსტად მიმდინარეობს თამბაქოს დამზადება საკოლმეურნეო სექტორში. 4 დღის განმავლობაში თამბაქო მხოლოდ სამმა კოლმეურნეობამ ჩააბარა და ისიც ორი-სამი შეკვრა.

თამბაქოს დამზადების პირველი გაკვეთილები მოწმობენ იმ სამარცხვინო შედეგს, რაიც მოჰყვება ხოლმე არადამაკმაყოფილებლად ჩატარებულ მოსამზადებელ მუშაობას. ჩაბარების დაბალი ტემპები იმით აიხსნება, რომ სასოფლო საბჭოები, კოლმეურნეობათა გამგეობები და რაიონული ორგანიზაციები კონკრეტულად არ ხელმძღვანელობენ თამბაქოს დაცალებისა და გაშრობის საქმეს. ამასთანავე არასაკმაოდ არის გაშლილი ახსნა - განმარტებითი მუშაობა დამზადების შესასრულებლად ვადაზე და მაღალხარისხოვნად.

ზოგგან სათანადოდ არ არის დაცული ჩასაბარებელი თამბაქოს სტანდარტი.

მაგალითად, პლანტატორებმა მიხ. სუმბალიძემ და გ. პარცალიძემ (ხოფის სასოფლო საბჭო) მეოთხე ხარისხის თამბაქოში შეურიეს წუნი, დაახლოვებით 30 პროც. მაგრამ მათ ოინები არ გაუვიდათ.

თამბაქოს ზოგიერთი დამხარისხებელი ვერა დგას თავისი მოწოდების სიმაღლეზე. დამხარისხებელმა ახბამ მეოთხე ხარისხის ერთი შეკვრა თამბაქო წუნში მიიღო. როგორც ვიცით, წუნისა და მეოთხე ხარისხის თამბაქოს ფასი სხვადასხვაა და ცოტაოდენი შეცდომაც ამ მხრივ კოლმეურნის შრომადღის ღირებულებას ამცირებს.

მატყუარები მიცემულ უნდა იქნენ პასუხისგებაში. მაგრამ სად არის აქ კონტროლი და დახმარება რაიმიწგანისა „აბთამბაქოს“ მხრივ?

მთავარი ამოცანა ახლა იმაში მდგომარეობს, რომ თამბაქოს ჩაბარების ტემპების გაძლიერებასთან ერთად მტკიცედ იქნას დაცული დასამზადებელი თამბაქოს სტანდარტი.

გუდაუთის რაიონულმა კომიტეტმა აქედან სათანადო დასკვნა უნდა გამოიტანოს.

ვ. მაჭავარიანი.

სტ. ელიაძე

ავაშენოთ სკოლის სანიმუშო შენობა

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ უდიდესი მუშაობა ჩატარდა ტფილისის საქალაქო მეურნეობის რეკონსტრუქციისათვის. ეს მუშაობა განსაკუთრებით გაძლიერდა ამხ. ბერიას მიერ ტფილისის კომიტეტის და ტფ. საბჭოს გაფართოებულ პლენუმზე 22 სექტემბერს წარმოთქმული სიტყვის შემდეგ ამხ. ბერიას მითითებათა საფუძველზე ტფილისის საბჭომ ენერგიული მუშაობა გააჩაღა ტფილისის სანიმუშო ქალაქად გადაქცევისათვის.

მაგრამ არის მშენებლობის ერთი დარგი, რომელშიც ტფილისი საგრძნობლად ჩამორჩა დიდ საბჭოთა ქალაქებს. ჩვენ სასკოლო მშენებლობას ვგულისხმობთ. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ლენინის რაიონს, სადაც სკოლის ერთი ახალი შენობა აშენდა, დღემდე ტფილისში სასკოლო მშენებლობის ხაზით არაფერი გაკეთებულა.

ტფილისის სკოლის შენობების უმრავლესობა ვერ აკმაყოფილებს საბჭოთა სკოლის მზარდ მოთხოვნილებებს. საკლასო ოთახების სიმცირის გამო სკოლებში ორცვლიანი მეცადინეობაა, რაც უსათუოდ აფერხებს ნორმალურ მუშაობას და განსაკუთრებით სკოლის პოლიტექნიზაციის განხორციელებას. ამას უნდა დავუმატოთ ის გარემოებაც, რომ სასკოლო შენობებში ხუთას-ექვსასამდე ოთახი კერძო მდგმურებს უჭირავთ. მთავრობის მრავალი დადგენილების მიუხედავად, დღემდე ვერ მოხერხდა ამ ოთახების განთავისუფლება და მათი გადაცემა სკოლების საჭიროებისათვის.

ტფილისში ბევრი სკოლა განიცდის საკლასო ოთახების სიმცირეს. ეს განსაკუთრებით შეიძლება ითქვას მე-18 სრული საშუალო სკოლაზე (მელიქიშვილის ქ.) აღნიშნული სკოლა ამ ოცი წლის წინეთ გაიხსნა. 1930 წლამდე წარმოადგენდა ოთხწლედს. სასკოლო შენობაც ასე თუ ისე აკმაყოფილებდა ოთხწლედის მოთხოვნილებას. 1930-31 სასწავლო წელს მოწაფეთა რაოდენობა დიდად გაიზარდა. ამას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ სკოლა მჭიდროდ დასახლებულ რაიონშია და ძალიან მოხერხებულ ადგილზე არის. ამის გამო მე-18 სკოლა გადაკეთდა შვიდწლედად, ხოლო მიმდინარე სასწავლო წლიდან სრულ საშუალო სკოლად, სადაც ამჟამად 710 მოწაფე სწავლობს. სკოლის აქვს 8 საკლასო ოთახი და ისიც ძალზე პატარა სივრცის. თვითეულ ოთახში 40—50 მოწაფე მეცადინეობს.

ასეთ პირობებში სკოლის დირექციის და დამხმარე საბჭოს ძირითად მიზანს ბუნებრივად წარმოადგენდა ზრუნვა სასკოლო შენობის აგებისათვის. ამ მიმართულებით კიდეც გადაიდგა პრაქტიკული ნაბიჯი. საკითხის ყოველმხრივ დამუშავების შემდეგ სკოლის დირექციამ და დამხმარე საბჭომ თავიანთი განზრახვა გააცნეს შარშან 18 ნოემბერს მშობელთა საერთო კრებას, რომელსაც ხუთასამდე მშობელი დაესწრო. კრება უდიდესი აღფრთოვანებით მიეგება ამ ინიციატივას და ერთხმად დაადგინა აღძრულიყო შუამდგომლობა ზემდგომი ორგანოების წინაშე ახალი შენობის აგების შესახებ. მშობელთა აღფრთოვანება იმდენად დიდი იყო, რომ მათ იკისრეს 30 ათასი მანეთის შეგროვება სკოლის ახალი შენობის აგების საჭიროებისათვის. მშობელთა საერთო კრების დადგენილების საფუძველზე დამხმარე საბჭომ და სკოლის დირექციამ შესაფერი შუამდგომლობით მიმართეს ორჯონიკიძის რაისაბჭოს განათლების განყოფილებას. უნდა აღინიშნოს, რომ როგორც რაისაბჭოს განათლების განყოფილება, ისე ტფილისის განათლების განყოფილება, ტფილისის საბჭო და საქართველოს სახკომსაბჭო განსაკუთრებული ყურადღებით მოეპყრნენ მე-18 სკოლის დირექციის და დამხმარე საბჭოს ამ ინიციატივას და აღუთქვეს მისი სასწრაფოდ განხორციელება. კერძოდ ტფილისის საბჭომ გადასდო 50 ათასი მანეთი მუშაობის დაწყების ორგანიზაციისათვის. დამხმარე საბჭომ მშობელთა შორის თვითდაბეგვრის წესით შემოსული თანხებით იკისრა სკოლის პროექტის შედგენა. პროექტის შედგენა მიენდო „საქსახპროექტს“, რომელმაც ეს მუშაობა ძირითადად უკვე დაამთავრა. ამჟამად პროექტი უკვე საბოლოოდ დამტკიცებულია სათანადო ზემდგომი ორგანოების მიერ და მშენებლობაც შეტანილია სატიტულო სიაში. მე-18 სკოლის შენობის აგება შეტანილია ტფილისის საბჭოს ახალ განაწესშიაც.

როგორი იქნება შედგენილი პროექტის მიხედვით მე-18 სკოლის ახალი შენობა?

ის უნდა იქნას ერთერთი სანიმუშო სასკოლო შენობა და შემდეგში ძირითადად ამ პროექტის მიხედვით უნდა მოხდეს ტფილისში სკოლების აგება. სკოლა დაიკავებს მელიქიშვილის ქუჩაზე ამჟამად მდებარე სახლების № 2, 4 და 6 შენობების ერთნახევარ ჰექტარ ფართობს. გადაწყვეტილია არსებული შენობების (თითოსართულიანი პატარა სახლები) აღება. შენობა იქნება სამსართულიანი გარდა სარდაფო სართულისა, 39.604 კუბიკური და 5.960 კვადრატული მეტრი 22 სასკოლო ოთახით, ცენტრალური გათბობით. გაიმართება კლუბი 400 კაცისათვის, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, გეოგრაფიის, ისტორიის და ენათმეცნიერების კაბინეტები, ფიზკულტურის დარბაზი, სახელოსნოები პოლიტექნიზაციისათვის, სხდომების ოთახი, კაბინეტები სკოლის დირექციისა, კანცელარიის და ექიმისათვის, ოთახები საწრეო მუშაობისათვის, პიონერთა და კომკავშირის ორგანიზაციისათვის, მოწაფეთა გასამხედროებისათვის, ბიბლიოთეკა - სამკითხველო, ლაბორატორიები, სამხატვრო და სამხაზველო ოთახები, სასადილო და სამზარეულო მეორე და მესამე სართულში, ბავშთა დასასვენებელი დერეფნები. სკოლის ირგვლივ გაშენდება ბაღი. შენობის წინა ფასადი ქუჩიდან დაშორებული იქნება რამდენიმე საჟენით, რომ ქუჩის ხმაურობამ არ შეაფერხოს სკოლაში მეცადინეობა. შედგენილი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით შენობის აგება დაჯდება 1.800 ათასი მანეთი. აღნიშნული თანხიდან რამდენიმე ათიათასი მანეთი გათვალისწინებულია დასანგრევი სახლებიდან მდგმურების გამოსასახლებლად.

პროექტის შედგენის დამთავრებისთანავე დამხმარე საბჭომ გამოჰყო სამუშაოთა რწმუნებული, რომელსაც დავალებული აქვს საშენი მასალის მომარაგება, რათა მომავალი წლის დასაწყისისათვის მომზადდეს ნიადაგი მშენებლობის ფართოდ გასაშლელად. მუშაობა ამ მიმართულებით უკვე წარმოებს.

მიმდინარე წლის 5 ივნისს ამხ. ლ. ბერიას ესტუმრენ ტფილისის ამხ. სტალინის სახელობის 1-ლი სანიმუშო სკოლის პიონერები და მათ ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების ხელმძღვანელთან საუბარში დააყენეს მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხები. სხვათაშორის პიონერები შეეხენ სასკოლო მშენებლობის საკითხსაც. ამ საუბრის საფუძველზე საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სახკომსაბჭომ მიიღო სპეციალური დადგენილება. ხსენებული დადგენილების მე-5 მუხლი ავალებს „საქართველოს სახკომსაბჭოს ააგოს ტფილისში 1935 წელს ერთი სანიმუშო სასკოლო შენობა“. მე-18 სკოლის დამხმარე საბჭო, სკოლის დირექცია და 710 მოწაფის მშობლები დარწმუნებული არიან, რომ საქ. სახკომსაბჭო ზემოაღნიშნულ დადგენილების განხორციელების ობიექტად აირჩევს მე-18 სრულ საშუალო სკოლას და ააგებს სკოლის სანიმუშო შენობას. ამ უაღრესად საპასუხისმგებლო მუშაობაში აქტიურად ჩაებმებიან როგორც დამხმარე საბჭო, ისე სკოლის დირექცია და მოწაფეთა მშობლები.



სურათზე: ზევით მე-18 სრული საშუალო სკოლის ახალი შენობის პროექტი. ქვევით—სკოლის წინა ფასადი.

სკოლებს-რუსული ენის მცოდნე და მუყაითი მასწავლებელი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა თავის 1933 წლის 2 ოქტომბრის დადგენილებაში ხაზი გაუსვა ჩვენს სკოლებში რუსული ენის სწავლების სუსტად დაყენებას. ცეკას დადგენილების შემდეგ ფართოდ გაიშალა მუშაობა რუსული ენის სწავლების გასაუმჯობესებლად.

ამ წერილში შევეხებით რუსული ენის სწავლებას მე-13, 25 და 35 სკოლებში. მე-35 სკოლაში რუსულ ენას ასწავლიან გამოცდილი მასწავლებლები, სკოლას აქვს გეგმა - პროგრამა, დღიურები, მაგრამ რუსული ენის გაკვეთილის აღრიცხვის დროს მოწაფეები პასუხს ერთი-მეორეს არ აცლიან, რის გამო სუსტი მოწაფეები გამოუსწორებელი რჩებიან.

ენის დაუფლების საქმეში კარგად მუშაობს მე-13, 25 და 35 სკოლები. აქ მე-6, 7 და სხვა კლასების ბავშვებს გრამატიკიდან საკმაო ცოდნა აქვთ. დიდი ყურადღება ექცევა აღნიშნულ სკოლებში სუფთად წერას. მასწავლებელი ნ. ფალავანდიშვილი წინასწარ ამზადებს ბავშვებს წერითი მუშაობის ჩასატარებლად. აქ ექვსდღიურში წერითი ვარჯიშობას ორჯერ ატარებენ. ყურადღება ექცევა სიტყვების დასწავლას. რუსული მხატვრული ლიტერატურის კითხვამ გააუმჯობესა რუსული ენის სწავლება. მასწავლებლებს ელენე ფალავანდიშვილს და ნ. სულიკაშვილს კარგად აქვს დაყენებული სწავლების მეთოდური მხარე და შედეგიც კარგია. მე-5, 6, 7 და სხვა კლასების მოწაფეები რუსულად საუკეთესოდ უპასუხებენ მასწავლებლის კითხვებზე.

რუსული ენის სწავლების საქმეში დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ აღნიშნულ სკოლებს დღემდე არ გააჩნიათ არავითარი დიდაქტიკური ხელსაწყოები (კედლის ტაბულები, პლაკატები, სასკოლო ლექსიკონი, ცნობარები და სხვ.). სკოლების ადმინისტრაციას არ უზრუნვია, რომ ზოგიერთი ეს ხელსაწყო ადგილობრივ კუსტარული წესით მაინც დაემზადებინათ სკოლებისათვის, არც მასწავლებლებსა და სკოლებს გამოუჩენიათ ინიციატივა ამ საქმეში. აი მაგალითად: მე-25 სკოლის მასწავლებელი ნ. საფაროვი თვალსაჩინოებისათვის, დიდაქტიკური მასალის უქონლობის გამო (ამისათვის მან რამდენჯერმე მიმართა ადმინისტრაციას), ანბანს რუსულ ენაში ხელით აწერინებს. ამ მასწავლებლის გაკვეთილზე ჩვეულებრივ უწესრიგობაა და ხმაური. მან არც ყველა მოწაფის გვარი იცის.

მე-25 საშ. სკოლის ადმინისტრაციამ, მიუხედავად მასწავლებლის მოთხოვნისა, რუსულ ენაში მე-8 და მე-9 კლასების ისედაც სუსტი მოწაფეები უსახელმძღვანელოდ დატოვა. მე-8 კლასში 53 მოწაფიდან სახელმძღვანელო აქვს ოთხს, მე-9 კლასში 44-დან 6 მოწაფეს, თუმცა წიგნების საფასური მოწაფეებმა დროზე შეიტანეს. მასწავლებელ ნ. სულიკაშვილს უხდება ლექსების წერა დაფაზე, საიდანაც იწერენ მოწაფეები; მოთხრობებს მთლად სკოლაში კითხულობენ, ასე რომ მოწაფეები მოკლებული არიან წიგნზე სახლში დამოუკიდებლად მუშაობის საშუალებას. ეს არანორმალური მდგომარეობა ახლავე უნდა გამოსწორდეს.

მე-8 და მე-9 კლასებში რუსულ ენაში ბევრი ვერ ასწრებს, კლასები ცოდნის დონის მხრივ ძალზე ჭრელ სურათს იძლევა. მასწავლე[illegible] ნ. სულიკაშვილმა [illegible] არაერთხელ დასვა [illegible] წინაშე, მაგრამ რატომღაც ვერ უზრუნველჰყავს სუსტებისათვის დამატებითი საათების გამოყოფა. ზემოაღნიშნულ სკოლებში პირველ მეოთხედში არაა გაშლილი შრომის სოციალისტური ფორმები, მასწავლებლები არ ატარებენ რუსულ ენაში დამატებითი საათებს, ძლიერი მოწაფეები სუსტებზე ფორმალურად არიან მიმაგრებული.

გასულ წელში მე-35, 25 და მე-13 სკოლის მასწავლებლებმა სუსტ მოწაფეებს მისცეს დამატებით რამდენიმე საათი, მაგრამ წელს ჯერჯერობით ამ მხრივ არაფერი გაკეთებულა, ამის მიზეზად მასწავლებლები ასახელებენ სკოლის გადატვირთვას დილიდან საღამომდე. საგულისხმოა მასწავლებელ ნ. სულიკაშვილის მაგალითი, რომელიც თავს იმართლებდა იმით, რომ აუდიტორიები არ გვაქვსო, მაგრამ აუდიტორიები სკოლას თავისუფალი აღმოაჩნდა 12-დან 2 საათამდე. სულიკაშვილმა მხოლოდ ამის შემდეგ განაცხადა: „ოთახი ყოფილა და მეც მივიღებ ზომებს მეორე მეოთხედში ნაკლის გამოსასწორებლადო“.

აღნიშნულ სკოლებში რუსულ ენაში არიან მოწინავე და კარგად მცოდნე მოწაფეები; მაგალითად მე-13 სკოლაში: თვაშარი ნინო, კუცია, ჭოხონელიძე, 35-ში: მისხი ელენა, გაგილაია და სხვები, მაგრამ ისინი სუსტებს სრულებით არ ეხმარებიან, მიზეზად ასახელებენ იმას, რომ სუსტები არ მოდიანო. საერთოდ დახმარების საკითხი მოუწესრიგებელია, სუსტ მოწაფეებს ესაჭიროებათ სათანადო მზრუნველობა. სუსტი მოწაფეების — მაისურაძე ივანეს, მაჭავარიანის, არევაძის და სხვების მიმართ მასწავლებლები არ იჩენენ სათანადო მზრუნველობას. მე-13 სკოლაში მე-6 კლასის მოწაფე ვ. ნიკოლაიშვილს რუსული ენის მასწავლებელი არავითარ დახმარებას არ უწევს.

სუსტების დახმარების და ხელმძღვანელობის საკითხი აღნიშნულ სკოლებში მოუწესრიგებელია, რის გამო პირველ მეოთხედში სუსტების საკმაო პროცენტია. მე-13 სკოლაში მე-6 კლასში ასწრებს 70 პროც., მე-7 კლასში 65 პროც., მე-25 სკოლის მე-6 კლასში ასწრებს 75 პროც., წერაში მე-7 კლასში სუსტია 64 პროც., მე-8 კლასში ასწრებს 72 პროც., წერაში სუსტია 58 პროც. მე-4, მე-5 კლასებში ასწრებენ 79—87 პროცენტამდე.

აღნიშნულ სკოლებში დღემდე არაა ჩამოყალიბებული რუსული ენის შემსწავლელი წრეები. მათ არ გააჩნიათ ბავშვებისათვის მისაწვდომი სკოლის გარეშე საკითხავი ლიტერატურა რუსულ ენაზე. ეს საკითხი დაჩქარებით უნდა მოგვარდეს.

ყოველივე ეს ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ აღნიშნულ სკოლებში რუსული ენის სწავლება ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული. სკოლებმა უნდა იბრძოლონ რუსული ენის სწავლებაში არსებული ნაკლოვანებების უმოკლეს ვადაში აღმოსაფხვრელად. განათლების კომისარიატმა მეტი პროგრამულ - მეთოდური ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს სკოლებში რუსული ენის კარგად დაყენების საქმეს.

ი. კვირიკაძე.

მატარებელთა ბრიგადების უფროსი ამხ. მელია და პარტორგი ამხ. შაველაძე მზეთავებს აძლევენ ინსტრუქციას (ტფილისის წითელდროშოვან სავაგონო დეპოში)

პირუტყვის საკვების დაჯავშნის მიმდინარეობა

20 ნოემბრისათვის

(სახმიწსახკომის ცნობებით).

მთელ საქართველოში 20 ნოემბრისათვის პირუტყვის უხეში საკვები დაჯავშნული იყო 1566306 ცენტნერი, რაც რესპუბლიკური გეგმის 57 პროცენტს შეადგენს. კონცენტრირებული საკვები დაჯავშნულია 41.875 ცენტნერი (გეგმის 54,7 პროც.). ცალკე რაიონების მიხედვით გეგმის შესრულება ასეთ სურათს იძლევა:

რაიონები.	უხეშ-საკვების გეგმის შესრულება პროცენტებში	კონცენტრირებული პროცენტებში
ახალქალაქის	117,3	92,2
ბოგდანოვკის	121,3	0 2
ახალციხის	72	39,7
ადიგენის	67	115,5
ტოლოშის	24,6	—
სტალინისის	75,4	72,4
გორის	163,4	46,2
კასპის	101,5	177,3
ბორჯომის	40,9	16,9
გურჯაანის	104,9	30,8
სიღნაღის	110,3	118,7
თელავის	90,4	82,6
ყვარელის	121,1	23,4
ტფილისის	123	62,2
ყარაიას	155	175,7
ლუქსემბურგის	12,3	57,3
წალკის	36	20,2
დუშეთის	34,4	36,1
ალბულაღის	133,3	120,4
საგარეჯოს	4,5	19,8
ბაშკიჩეთის	58,8	3,9
თიანეთის	107,1	78,3
სამხ.-ოსეთის ავტ. ოლქი.	49,5	9,1
ვანის	16,3	153,5
ჩხარის	106,8	—
ონის	7,2	—
ამბროლაურის	5	—
ცაგერის	45,8	58
აბაშის	69,3	—
ფოთის	89,7	—
ლანჩხუთის	138,1	—

ცნობები ადიგენის, ყვარლის და საგარეჯოს რაიონების შესახებ წარმოდგენილია 1 ნოემბრისათვის, ხოლო თელავის და ვანის რაიონებს მასალები არ წარმოუდგენიათ 5 ნოემბრის შემდეგ.

სახმიწსახკომის მეცხოველეობის სამმართველოში 20 ნოემბრისათვის ცნობები საკვების დაჯავშნის მიმდინარეობაზე არ ქონდათ წარმოდგენილი ლაგოდეხის, ბოგდანოვკის? — ბორჩალოს, ყაზბეგის, ქუთაისის, სამტრედიის, ბაღდათის, ზესტაფონის, ჭიათურის, ჩოხატაურის? — ჩოლურის, სენაკის, ზუგდიდის, ხობის, წალენჯიხის, მახარაძის, ჩოხატაურის, ზემოსვანეთის რაიონებს, აფხაზეთსა და აჭარისტანს.

ნ. ზომლეთელი

რუსთაველის რუსთაველობა*)

სავსებით გასაგებია ის დიდი და გაცხოველებული ინტერესი, რომელსაც იწვევს გენიოსი პოეტი, შოთა რუსთაველი და მისი უკვდავი „ვეფხის ტყაოსანი“.

მარგალიტები ხელისხელ საგულმანებლად დასტოვა, ყველასათვის, როგორც სოციალისტური დოვლათი. არავის არ აქვს ნება ამ დოვლათის განიავების, გინდ გაქრელების თუ გაჯეკინის, მით უფრო მითვისების. უმზირეთ ისე, როგორც ის აწყვია, დასტკბით მზერით, დასტკბით მათი სილამაზით, მათი სიმშვენიერით.

მაგრამ არც ეს ტკბობა არის რაღაც უსაგნო, პასიური ტკბობა. სიმშვენიერეში სიბრძნეც არის, ე. ი. სასარგებლოც, სასიამოვნოსთან ერთად.

ყველაფერი თქმულია, ყველაფერი წინასწარ მოფიქრებული და მოგვარებული, ორგანიზებული. ჩამატება-გამოკლება შეუძლია ადამიანის ხელს, მაგრამ ასეთ ხელს ქება თან არ წაჰყვება. პოლირებულ ფიცარს ჩლუნგი ნაჯახით არ ასწორებენ.

შოთას პოემა კი არა თუ პოლირებული ფიცარია, იგი ხელთუქმნელი სარკეა, საიდანაც ყველა ნაირი სახე თუ ფერი უტყუარად გამოსჭვივის, უტყუარად ანათებს, მზესავით კიაფებს.

თავის უკვდავ პოემას რუსთაველი ასე იწყებს:

„რომელმან შექმნა სამყარო.. ჩვენ, კაცთა მოგვცა ბუნება.. მისგან არის ყოვლი ხელმწიფე...“

ეს იგი, ხელმწიფე, როგორც კაცი, როგორც განსაზღვრული კატეგორია ბუნებაში, ემორჩილება არსებობის ყველა კანონებს და სხვათა შორის — სიყვარულის, მიჯნურობის კანონსაც.

და შოთაც ადგენს ამ მიჯნურობის კანონებს, სიყვარულის მთელს კოდექსს.

ამ კანონების დასადგენ-შესაცნობად იგი მიმართავს შაირობას, მგოსნობას და თანაც ამის კანონებსაც ადგენს.

აქ ყველაფერი ბუნებრივია: საერთო კანონდება სამყაროსი, ბუნების, კაცის და ხელმწიფის შესახებ წინ უსწრებს მგოსნობის შესახებ კანონდებას. შემდეგ მგოსნობის სიბრძნის შესახებ კანონდება წინ უსწრებს მიჯნურობის, სიშმაგის შესახებ კანონდებას. ერთი მეორეს აღებს, ერთი მეორეს გვიხსნის.

ერთი სიტყვით, მთელი სტატუტია მოცემული, მთელი კონსტიტუცია.

რას ემსახურება შოთის ეს კონსტიტუცია? მივმართოთ წინასიტყვაობას, რომელიც შოთას უკვდავი ქმნილების მთელს ალგებრას წარმოადგენს, სავსეს სიბრძნითა და ამდენადვე ხანჯალივით ორლესილი სიტყვებითაც.

წინასიტყვაობაში შოთა სხვათაშორის ბრძანებს:

„მიბრძანეს მათდა საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისა“-ო.

როგორ? თვითონ კანონმდებელს, მართალია, უგვირგვინოს, მაგრამ ნამდვილ მეფეს, გენიოს შოთას ვიღაცამ უბრძანა, უბრძანა კი არა „უბრძანეს“?!... საოცარია.

მაგრამ აქაც სიბრძნეა. სიბრძნე კი შაირითა და ქარაგმით მოხდენილად არის დაფარული, იგი გამოაჩენს და არც გამოაჩენს.

ცოტა წინ თქმულია: „თამარს ვაქებდეთ, მეფესა, სისხლისა ცრემლ-დათხეულსა“.

რაშია საქმე?

თუ მართლაც მარტოოდენ თამარის ქებაა, ეს — „სისხლისა ცრემლ-დათხეული“ რაღად იყო საჭირო? სად „სისხლის ცრემლი“ და სად ქება?

ან ეს „მიბრძანეს მათდა საქებრად“ ვის ეკუთვნის? ნუ თუ მეფეს მიმართავს ის მრავლობითი რიცხვში? ასეთი წესი, თუ მეფის სახელს მკრებელობითი მნიშვნელობა არ ენიჭებოდა, არ არსებობდა და შოთაც ამისი უცოდინარი არ იქნებოდა. ყოველ შემთხვევაში მას უნდა ეთქვა „მიბრძანა“ და არა „მიბრძანეს“.

მაშ რაშია საქმე?

საქმე ისევ ყუთშია.

სად იდგა ყუთი, რომელ ისტორიო-პოლიტიკურ ვითარებაში, რომელსაც უთუოდ უნდა დამთხვეოდა მთელი ეს ამბავი?

უამისოდ წარმოსადგენია შოთას ქმნილების გაგება?

რა თქმა უნდა, არა.

მაშ, ეხლა უკვე თვითონ ამბავმა აგვიხსნას წინასიტყვაობის ეს ადგილი.

ამბავი ეხება თინათინს, ავთანდილს, ტარიელს და ნესტან დარეჯანს, მათ მიჯნურობას, მათ აქედან წარმომდინარე ტკბილსა თუ მწარეს, რომელიც, საბოლოო ანგარიშში ბოლოვდება მათი შეუღლებით და კეთილი ცხოვრებით. ამ „ბოლოზე“ პოემა პროექტორივით აფენს შუქს, ხოლო მთელი დიდი და საინტერესო ისტორია მხოლოდ ამ „ბოლომდე“ მიმდინარეობს. საინტერესოა, მაშასადამე, ეს პერიოდი ყოფილა. ესაა, ასე ვსთქვათ, სიბრძნისა და სიშმაგის ბრძოლა. სიბრძნე სძლევს და ალვირ-ადებული სიშმაგეც ტარიელის ტაიჭივით კორტად მიაგდებინებს თავის მხედარს. შავი ფერის კია. ეს ტაიჭი, (ნახეთ, ფერიც კი როგორ შერჩეულია!), მაგრამ სხვანაირად თურმე არ შეძლებულა.

რა შტრიხებია მოცემული ყოველივე ამაში თამარის ცხოვრებიდან, რადგან უდაოდ უნდა ჩაითვალოს ის, რომ მთელი პოემა თამარზეა დაწერილი ანუ, უკეთ რომ ვთქვათ — თამარის ეპოქაზე და უთუოდ მის სიცოცხლეში.

მაგრამ თამარის ეპოქა მთლიანად ერთნაირი არ არის. მეტი თუ არა, ორ პერიოდად ის მაინც უნდა გავყოთ: თამარის პირველი და მეორედ მეუღლეობის პერიოდებად. ამ ორ პერიოდთაგან რომელს შეეფერება ქება? იმავე დროს რომელი მათგანი ითხოვს ამ ქებას? უთუოდ მეორედ მეუღლეობის პერიოდი. რატომ? იმიტომ, რომ სწორედ ეს პერიოდი არის საქართველოს ბრწყინვალე გამარჯვებათა პერიოდი, სახელმწიფოს გაძლიერებისა და აყვავების ძლიერი ხანა. ამ ხანას კი წინ უსწრებდა არა მარტო თამარისათვის პირადი ხასიათის უსიამოვნება, პირველი მეუღლეობის სახით, არამედ ქვეყნის ორად გათიშვა, ქართველების მიერ ქართველებისავე სისხლის ღვრისა და ქვეყნის არევდარევის პერიოდი.

ეს იყო თამარის მეფობის დიდი ტრაგედია.

საიდან წარმოსდგება ეს ტრაგედია?

ტრაგედია იწყება იქიდან, რომ ქალია ხელმწიფედ.

მაღალი წოდება, დიდ გვარეულთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი ხროვა თავისი ნიადაგმტაცებლური თვალით მშვენივრად ხედავს ამას. მისი გული ღელავს, მოუსვენრობს: „ვის არ ხდომნია თავი მეფედ, ცოლი დედოფლად“, როცა ამავე დროს ამ სანატრელი სურვილის ცოცხალ საქმედ ქცევის შესაძლებლობაც ასე ახლოს არის? მაგრამ პრეტენდენტი ერთი არაა, საკმაოდ ბევრია, შეიძლება ითქვას, რომ მთელი უმაღლესი ფეოდალობაა, უკეთ — ის დაჯგუფებულია პრეტენდენტთა მიხედვით. ყველას ხომ არ შეუძლია ერთი ქალის ქმრობა? იბადება ინტერესთა წინააღმდეგობა, კბილთა ღრჭენა და პირიდანაც დორბლთა ყრა. საქმე მწვავდება. მწვავე საკითხის გადაჭრა თამარს შეუძლია, მაგრამ იგი უღონობას იჩენს. მისი ხსნა ამ შემთხვევაში შეუძლია მხოლოდ ასეთ ბედნიერ შემთხვევას, როგორიც წილად ხვდა თინათინს. მაგრამ ასეთი ბედნიერი შემთხვევის „შესამთხვევად“, ხომ ისეთი მეორე ბედნიერი შემთხვევა უნდა მომხდარიყო, როგორიცაა შოთა რუსთაველის წარმოშობა. ამ გამწვავებული მდგომარეობის კეთილად დაბოლოების მიზნით, ვისიღაც თავში იბადება იდეა: „თამარის საქმრო ეძიონ უცხოთა შორის“.

სცენაზე ჩნდება ზორობაბელი, ხოლო ამ უკანასკნელის მეოხებით — გიორგი რუსი.

გადაწყდა: თამარი უნდა მიათხოვონ გიორგი რუსს, რომელსაც საქართველოში იცნობდენ მხოლოდ ერთად ერთი სახელით: „რუსი“, სხვა არც მისი გვარი იცოდენ, არც სხვა რამ ავან-ჩავანი.

სამწუხაროდ, თამარიც კი ამას სუსტ წინააღმდეგობას უწევს: „როგორ უნდა შევიყვანო ისეთი კაცი, რომლის არც ენა ვიცი, არც ზნე და არც სხვა რამ ღირსება-ნაკლოვანებები“-ო.

მაგრამ შურისა და ქიშპის ნიადაგზე წარმომდგარი უგუნურება და სიბრმავეც მაღალი წოდებისა იმდენად ძლიერია, რომ პრეტენდენტებიც კი გაიძახიან: „არც მე, მარა არც შენ, — გიორგი რუსსო“!...

რას გავს ყოველივე ეს? ეწინააღმდეგება თუ არა ეს მგოსნის, ამ უგვირგვინო მეფის, ამ ურყევი კანონმდებლის შეხედულებებს სიყვარულისა და მეუღლეობის შესახებ?

მივმართოთ წინასიტყვაობას, სადაც სიყვარულზეა მსჯელობა, განსაკუთრებით კი იმ ადგილს, სადაც სიყვარულში გვარ ერთ ტომობისა და ენის, როგორც სიყვარულის (ძნელად სათქმელის) გამოსაგები იარაღის, შესახებ არის ლაპარაკი.

მაგრამ ეს ალგებრა გადატანილია და გაშლილია შემდეგ მთელს პოემაში: ინდოელი ნესტან დარეჯანი სხვას ვერ ეუღლება, თუ არ ინდოელსავე ტარიელს, არაბი თინათინი — არაბსავე ავთანდილს. ტომი — ტომს, გვარი-გვარს, ენა-ენას. ეს მთავარია. გამონაკლისი? კი, გამონაკლისი შესაძლებელია, მაგრამ ვაი ამ გამონაკლისს! სწორედ ამ გამონაკლისმა გამოიწვია თამარის დროინდელი საქართველოს ის დიდი ტრაგედია, რომლის შესანელებელ — გასაფანტავად, როგორც ხედავთ, საჭირო გამხდარა „მათი ქების თქმა“.

ამ „ქებაზე“ დიდ იმედს ამყარებენ, „ქება“ საჭიროა რაღაც ძრახის წინააღმდეგ. ეს ძრახი რაღაც სერიოზული რამ არის. მას დიდ ყურადღებას აქცევენ. საჭიროა მისი გაფანტვა, მისი შენელება მაინც სხვანაირად გაგება არც კი შეიძლება.

ძრახი მართლაც დიდი იყო. ხუმრობა ხომ არ არის? ქვეყანა ორად გაიყო: ქართველთა ერთი ნაწილი თამარს გადაუდგა; საქართველოდან გაძევებულ „რუსს“ მიემხრო, მეორემ „თავისი“, ე. ი., თამარი დაიცვა. მოხდა სისხლის მღვრელი შეტაკება, მთელი ომი, მთელი დიდი ტრაგედია. სარწმუნოება, და ეს კი არც ისე მცირე მნიშვნელოვანი ფაქტორი გახლდათ იმ დროს, „რუსის“ მხარეზე. ასე გასინჯეთ, ამ იდეოლოგიის ზეგავლენით უცხო სახელმწიფოც, საბერძნეთიც კი ერევა საქმეში: დამსჯელ ექსპედიციას აწყობს ეკლესიური გვირგვინოსნობის და რელიგიური კანონიერების შემბღალველის წინააღმდეგ.

„თავისიანებმა“, ე. ი., თამარის მომხრეებმა გაიმარჯვეს.

მაგრამ მათ გაიმარჯვეს არა მარტო ფაქტიურად ამ ომში. მათ ბედად ხვდა აგრეთვე იდეური გამარჯვებაც ამ ბრძოლაში: თამარის მეორედ მეუღლეობა დავით სოსლანთან, „თავისიანთან“ ბრწყინვალე შედეგით შეიმოსა. საქართველოს სამეფოს ბედად ხვდა მთელი რიგი ბრწყინვალე გამარჯვებები გარეშე მტრებზე. ამის შედეგად სახელმწიფო გაძლიერდა, გამდიდრდა, ამაღლდა, აყვავდა.

განსხვავება პირველსა და მეორედ მეუღლეობას შორის იმდენად თვალსაჩინო, იმდენად აშკარაა, რომ „რუსიანებს“ არც კი დარჩენიათ რაიმე თავისი საქციელის გასამართლებლად.

მაგრამ საკითხავია: იქნებოდა თუ არა სურვილი და ცდაც ამ საქციელის გამართლებისა? იქნებოდა თუ არა იდუმალი, ყრუ და მცოცავი უკმაყოფილება თამარის წინააღმდეგ.

რად უნდა ამას ლაპარაკი, რომ იქნებოდა. ითხზებოდა კიდეც ლეგენდები თამარის პიროვნების გასაბახებლად. „დამარცხებულები“ ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ. ძალიან გავლენიანი ან ყოფილი გავლენიანი პირები გახლდენ აგრე ადვილად სისინსა და ძრომაზედ ხელს არ აიღებდენ. ნიადაგს, რომელიც მათ ხელს უწყობდა, ენერგიულად აფხიერებდენ. ისეთი ფაქტი ხომ არ მომხდარა, რომ ერთ-ორ თაობის მაინც გულში ეკლად არა სხობოდა: ქართველმა ხალხმა ქართველისავე ხალხის სისხლი დაღვარა. ქვეყანას ჯერ კიდევ ძაძა და ფლასი ეხურა.

„მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მინა რხეული“.

ამ სიტყვებში ჩვენ უნდა ვეძიოთ არა მარტო თამარის თვალები და წამწამები, ერთის მხრით, ხოლო, მეორე მხრით, პოეტის გული, არამედ ის ძაძა და ფლასიც და ის ხმალიც, რომლებიც თამარის დიდ ტრაგედიას ედო საფუძვლად, რომელიც შემდეგში თამარის ბრწყინვალებას თან სდევდა, როგორც კვამლი — ალს.

„რაცაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია“.

ეს სიტყვებიც ისეთივე ქარაგმა — ორლესილებაა, როგორც მაგალითად:

„სიბნელეს სძლია სინათლემ, არსება მისი გრძელია“.

და აი, ამ მძლეველი სინათლის მხარეზე გენიოსი შოთა.

მაგრამ ვინც იცის, სანამ ამ ყოფაში ჩავარდებოდა ის, იქნება ჯერ სიბნელის მხარეზეც კი იყო, იქნება „რუსიანთა“ წრესაც კი ეკუთვნოდა ის?

შეუძლებელია ეს?

რა თქმა უნდა, არ არის შეუძლებელი.

რატომ?

იმიტომ, რომ „დამარცხებულთა“ შორის იყვნენ ისეთნიც, რომელთაც შემდეგში გულწრფელად მოინანიეს თავიანთი საქციელი.

მაშასადამე, „მონანიებულ“ მგოსანში მოხდა იმდენად ძლიერი გარდატეხა, რომ, როცა შემდეგში „ქებაზე“ მიდგა საქმე, მან ბრძნულად და გულწრფელად დაასაბუთა ეს თავისი „მონანიება“.

მაგრამ ესეც რომ არ ყოფილიყო, განა, ისეთ გენიოსს, როგორიც არის შოთა, შეეძლო გვერდის აქცევა, ან უფლება ჰქონდა აექცია გვერდი ასეთი დიდი გარემოებისთვის? ვიმეორებ, განა, შეიძლებოდა მათი (მით უფრო მისი — თამარის) ქება ისე, რომ ამ ქებას ნაწილი ხალხის ძრახვაც თან არ სდევნებოდა, როგორც კვამლი — ალს?

დღეს ჩვენ გულგრილად შეგვიძლია ვთქვათ „არა“, მაგრამ მაშინდელ პირობებში ამ „არა“-სათვის, ვინ იცის, როგორ — „ჯვარს“ დაატრიალებდენ თავზე.

ეს გარემოება, უეჭველია, საგულისხმო იყო თვით გენიოსი ავტორისათვისაც.

ამიტომ ის უნდა ცდილიყო თავისი „ქება“ ისე აეგო, რომ მასში სინამდვილე მწარედ და მწვავედ არავის „გაეგო“. თავი შეურაცხყოფილად არ ეგრძნო, ზედმეტად არ გაღიზიანებულიყო ქვეყნის, ერის, საქართველოს სამეფოს მთლიანობის დამუქრებულ განწყობილებას ისევ არ ეჩინა თავი და სიმწრით მოპოვებული ისევ არ დანგრეულიყო.

რა ხერხს მიმართა მან ამისათვის?

ქარაგმას და სიბრძნეს, სიბრძნეს და ქარაგმებს. მეტის მეტად გასაგებ, თითქმის თვალსაჩინოდ, დიდაქტიურობის მთელი სიძლიერით ადვილად დასანახავ გადაკრულებს (ИНОСКАЗАНИЯ), შორეული ქვეყნების ცხოვრებიდან ანალოგიური ფაქტების ალეგორიულად შეფარდებას: „ეხე ამბავი სპარსული“ და სხვა.

თუ ეს ასე არ იყო, აბა რათ უნდა ყოფილიყო ამ სპარსული ამბის თუნდაც ლექსად გარდათქმა „ხეპოშმანები“ საქმე?

„ხეპოშმანები“ კი ეს საქმე იყო იმიტომ, რომ მასში იყო მოთხრობილი ქართული ამბები, ფრიად ტრაგედიული, ფრიად სამწუხარო.

არაფერს არ ნიშნავს ის, რომ მალე ეს სამწუხარო უაღრესად სამხიარულო ამბებით შეიცვალა. აქაც ისევ და ისევ ტრაგედიის ტრაგედიაზე დამატებაც და აგრეთვე, მისი გაძლიერებაც იყო, თუ გნებავთ, „შესაძლებელ-მოსალოდნელი“: ვიღაც („თავისიანი“) ალბად, ზედმეტად კიდეც გააყოყოჩა ამ გარემოებამ, ვისიღაც („რუსიანის“) ზედმეტად დაწიხლა იგი, ალბად, კიდეც ეცდებოდა, რა თქმა უნდა, თავისი თავდაუჯერებლობით, თავისი უგუნურებით, უტაქტობით, სიჯიუტით.

არც თამარი იყო სავსებით პირნათელი ამ საქმეში, არც დავით სოსლანი, თუ მათ ერთმანეთი უყვარდათ, იმდენი სისხლი რისთვის გამოიწვიეს?

მაგრამ სიყვარულს ჰქონია ისეთი საიდუმლოებანი, რომელიც ახსნილ-გამართლებულია მთელი პოემით. ტრაგედიის აუცილებლობა ჭეშმარიტების გამოსარკვევად ნათელყოფილი, შეწყნარებული და მოხდენილად მონანიებულია ყოველ მხრივ.

ვინ იცის, თინათინს რომ პირველად გამოეცხადებინა: „მე ავთანდილი მინდა ქმრადო“, ან ავთანდილს რომ გამოემჟღავნებინა ეს, იქნება ამასაც ისეთივე შედეგი მოჰყოლოდა, როგორიც მოჰყვებოდა თამარის მიერ ურიცხვ პრეტენდენტთაგან ერთისა და ერთის არჩევას.

ამ ბედნიერ უბედურს ან მოჰკლავდენ, ან კიდევ ისეთსავე ომს გაუმართავდენ, როგორიც გაიმართა, გიორგი რუსის გამო, სარჩლების გამო.

ერთი სიტყვით, მომხდარი სამწუხარო ფაქტის გამოსწორებისათვის არავითარი საშუალება აღარ არსებობდა.

მაგრამ ჰკუის მასწავლებელი კი დიდი იყო ყოველივე ეს, შეუძლებელი იყო ამ შემთხვევის მაინც ხელიდან გაშვება, მისი გამოუყენებლობა.

და აი, იბადება იდეა ტარიელისა და ნესტან დარეჯანის ისტორიის შექმნისა, მისი გამოგონებისა, მისი შეთხზვისა. ამ ისტორიით გენიოსმა ავტორმა დაანახვა როსტევან მეფეს (და განა, მარტო როსტევანს? ყველა იმათ, ვისი მიზეზითაც თამარის ტრაგედია მოხდა) სიყვარულისათვის წინააღმდეგობის გაწევის უაზრობა, მიუხედავად მისი მეფური სიძლიერისა, თვით ყოვლის შემძლე როსტევანისაგანაც კი ამ წინააღმდეგობის გაწევის სრული შეუძლებლობა.

და ფინალიც გასაგებია: ტარიელის ამბის ცნობის შემდეგ, როსტევანი ერთი სიტყვითაც კი არ ფიქრობს ავთანდილისათვის უარის თქმას. ეს უარი უკვე შეუძლებელი ხდება.

ამ რიგად რუსთაველის, რომელსაც მისი და საქართველოში ჯერ კიდევ ბევრის დამამძიმებელი სამწუხარო ფაქტის გასწორება რომ აღარ შეუძლია, სასარგებლო, ჰკუის სასწავლო დასკვნას მაინც აკეთებს მთელი ამ ტრაგედიიდან და მას იძლევა დასაძლევად ყველა იმ სიძნელეთა, რომლებიც მოსალოდნელია მსგავს შემთხვევაში კვლავაც განმეორდეს ქართველი ერის თუ მსოფლიოს აწინდელ ისტორიაში.

მაშ ტყუილად ხომ არ იყო იგი იმ დროის უგვირგვინო მეფე? ამ შემთხვევაში მას, რასაკვირველია, პირველ რიგში საქართველოს მთლიანობა აინტერესებს.

რად აიღო პოეტმა ფსევდონიმად რუსთაველი? განა, მარტო იმიტომ, რომ იგი რომელიმე რუსთავის მცხოვრებელი იყო?

მაშინ საძიებელიც არა ყოფილა რა. ეს რუსთავი უცილობლად მესხეთში მდებარე რუსთავი ყოფილა, თუ კი ასეთი მართლაც არსებობს. აი, აქ უნდა დასმულიყო წერტილი.

წერტილის დასმა ვიღამაც მართლაც სცადა. თვითონ ავტორი ამას, მგონია, არ იქმს, ასე ხელი არ მოუბრუნდებოდა, არ მოეცდებოდა. ალბად, ერთერთმა გადამწერმა მოინდომა განსაზღვრული მიზნით ან კიდევ თავისი გატაცებით.

„ვწერ ვინმე მესხი მელექსე, მე რუსთაველისა დაბისა“-ო, ეს სტრიქონი რუსთაველს მართლაც არ უნდა. ეკუთვნოდეს, ასე უკეთ, სავსებით მისი არ უნდა იყვეს. უკანასკნელი სიტყვით გამოწვეული დისონანსი რაღაც მას არ ახასიათებს, ეს ადგილი გადამახინჯებულია. უკეთ რომ ვსთქვათ, ასეთი რითმებით, როგორიცაა; „ოხისა, ჟამისა, წამისა და დაბისა“ რუსთაველი არა სწერს, ეს მისი თლილი მარგალიტები“ არაა, ეს მას არ სჩვევია. ამას თითქმის ყველა აქცევს ყურადღებას, რადგან მთელი პოემის მანძილზე ასეთ რამეს იშვიათად ვხვდებით, ტიპიურად ასეთს კი — სრულიად არსად. (შემცდარი, ყალბი ადგილები კი ანგარიშში მისაღები არაა).

მაშ რაშია საქმე?

საქმე აქაც „უბრალოდ გასაღებ ყუთში“ უნდა იყვეს. გენიოსი მგოსნის ფსევდონიმში: უეჭველად უნდა ვეძიოთ მთელი ზევით აწერილი გარემოების დამახასიათებელი სიბრძნით ნაკერი ქარაგმა, რომელიც სინამდვილეს და ბუნებრივობას ისევე უნდა ემთხვეოდეს, როგორც კოხტა ცხენს — კოხტა უნაგირი.

ჩვენ უკვე გაკვრით მოვიხსენიეთ, რომ რუსთაველმა თავის თავზე აიღო ქართულ ფეოდალთა ორი უკმაყოფილო წრის შემარიგებლის როლი. ისინი მან მონათლა „რუსიან-თავისიანებად“, ე. ი., ლექსის თქმისთვის ანუ „ამისათვის“ „რუსთაველისანების ქცევა განსჯაზე, მისი აწონდაწონისთვის დროებით მათ თვალსაზრისზე დადგები, მათად ვიქცევი, მათ მიმართ ვწერ“-ო — „მე რუსთაველისად ამისა“-ო. ამ შემთხვევაში ცნება: „რუსი“ აღებულია, როგორც უცხო ტომის განსაზღვრულად ერთადერთი კაცი, როგორც თამარის არა თანიერი გვარის კაცი, ხოლო „უცხო“-ს საწინააღმდეგო ცნებად ნაგულისხმევია „თავისიანი“, ანუ კიდევ უფრო მოკლედ — „თავი“. ამას რუსთაველი სჩადის არა ერთგვარი მოძღულებით, არამედ თავისი პრინციპის ნათელსაყოფად. თორემ ეს რომ ასე არ იყვეს, მაშინ გაუგებარი იქნებოდა რუსთაველის მიერ არაბთა და ინდოთა ისტორიების ასეთი მაღალი და კეთილშობილი პათოსით, ასეთი აღფრთოვანებით გადმოცემა, როგორც ეს უკვდავ ვეფხის ტყაოსანშია მოცემული.

თუ ეს შენიშვნა მისაღებია, და იგი უთუოდ მისაღებია, მაშინ ზევით მოყვანილი სტრიქონიც რუსთაველურად ასე გამართული გამოვა:

„ვწერ ვინმე მესხი მელექსე, მე რუსთაველისად ამისა“.

ყოველივე ამასთან ერთად, თუ რომელიმე რუსთავის მცხოვრებელიც იყო იგი ამავე დროს და ის არ ერიდებოდა ამის გამომჟღავნებას, როგორც ეს ახლა ტექსტის მიხედვით იგულისხმება, მაშინ ფსევდონიმი, რომელიც მგოსანმა ასეთი სიბრძნე-ქარაგმით უეჭველად მოქარგა, კიდევ უფრო წელგამაგრებულია, როგორც ფსევდონიმი. მით უფრო შესაძლებელი იყო გადამწერის შეცდომაც. ერთი მოსაზრებით, განზრახ თვითონ რუსთაველსაც შეეძლო აღნიშნული „შეცდომის“ დაშვება, (ლექსში კი არა, ფსევდონიმის შერჩევაში!), რადგან უდაოდ არის, რომ ეს პოემა მას უნდა დაეწერა არა რომელიმე რუსთავში, არამედ სასახლის კართან ახლოს.

„შეცდომის“ საბაბს კი ამ შემთხვევაში იძლეოდა ის ფაქტი, რომ სიტყვა „რუსთაველი“ ჯერ ერთი, მგოსნისთვის საჭირო ქარაგმა იყო, ხოლო მეორეც იგი ამავე დროს წმინდა კეთილხმოვანი ქართული სიტყვაც გახლდათ, საცხოვრებელი ადგილით წელგამაგრებული და, მაშასადამე, მასში „რუსის“ ე. ი. „საჭოჭმანები“ საქმის აღმოჩენას ვერავინ იფიქრებდა.

ერთი სიტყვით, „საფარი“ ყოველ მხრით შემკული და იშვიათი, ყოველ მხრით საიმედო აღმოჩნდა.

---

*) კამათის წესით. რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამას წინად პლეხანოვის სახელობის კლუბში ჩატარდა მოდარაჯე ძაღლების მუშაობის დემონსტრაცია, რომელსაც დიდძალი ხალხი დაესწრო. ძაღლები გამოცდილ იქნენ მიბარებული ნივთების დაცვაში, „გატაცებული" ნივთების მონახვაში, დაბრკოლებათა დაძლევაში და სხვ.

მოდარაჯე ძაღლების მუშაობის დემონსტრაცია მოაწყო საქ. თავდაცვაავიაქიმის ლენრაისაბჭომ.

სურათზე: მიუნხენ-შპინცერის ჯიშის ძაღლი „აფი" დაბრკოლებათა გადალახვის მომენტში.

ქალაქი-საავადმყოფო

ბათომში შენდება ქალაქი-საავადმყოფო 14 კორპუსით. ამჟამად დამთავრდა სამეანო-გინეკოლოგიური კორპუსი, რომელიც გაიხსნა 24 ნოემბერს. ეს კორპუსი მოწყობილია ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. უკვე მიღებულია ყველა ხელსაწყო-იარაღები.

მარტო დედათათვის აქ გახსნილია 88 ოთახი.

სურათზე: მარცხნივ საავადმყოფოს მთავარი ექიმი ზ. შარაშიძე, მარჯვნივ, საავადმყოფოს მთავარი კორპუსი,

პლეხანოვის პროსპექტზე შეუდგენ ამინდის მაჩვენებელი (მეტეოროლოგიური) რუკის მოწყობას, რომელიც ღამით განათებული იქნება ელექტრო-შნულია რესპუბლინით. რუკაზე აღნიშნული მეტეოროლოგიური სადგურების პუნქტები, სადაც ამინდის მაჩვენებელი ნიშნები შეცვლილი იქნება იმ ცნობათა მიხედვით, რომლებსაც ეს სადგურები უგზავნიან საქ. მეტეოროლოგიური ინსტიტუტის ამინდის ბიუროს.

სურათზე: მხატვარი ამხ. აზანდარი მუშაობს ამინდის მაჩვენებელი რუკის გაფორმებაზე.

ბრონეულა-გუმბრინი-წყალტუბო

მიმდინარე წლის 30 სექტემბერს დამთავრდა ბრონეულა-გუმბრინის რკინიგზის გაყვანა. გზა გაყვანილ იქნა გუმბრინის კარიერების მთავარ ესტოკადამდე, სადაც ყოველდღე გუმბრინით იტვირთება 10—12 ვაგონი.

ოქტომბერში დაიწყო სადგურ თერნალიდან წყალტუბოს მიმართულებით გზის მშენებლობა. თერნალიდან გზა გაჭრილია უკვე ერთნახევარ კილომეტრზე და ამჟამად სწარმოებს გაცხოველებული მუშაობა ხიდების მშენებლობაზე. მშენებლობას ხელმძღვანელობს ინჟ. ბიჩკოვი.

საქ. საკურორტო სამმართველოსთან დადებული ხელშეკრულებით, რკ. გზის გაყვანა თერნალ—წყალტუბოს შუა უნდა დამთავრდეს ა.-წ. დამლევს, ე. ი. გზა საექსპლოატაციოდ მზად უნდა იქნას იანვრის 15 რიცხვებში.

დამკვრელი ტემპებით მიმდინარეობს თერნალ-წყალტუბოს გზის მშენებლობა, რომელიც უნდა დამთავრდეს 1935 წლის 1-ლ იანვრისათვის.

გზა გასწორებულია და მზად არის ლიანდაგის დასაგებად კილომეტრ-ნახევარის მანძილზე. 15 დეკემბრისათვის ხიდებიც მზად უნდა იქნეს. ამჟამად ბრონეულა-გუმბრინის გზაზე დამთავრებულია ბალასტის მოყრა 16 კილომეტრზე. დასაბალასტებელი დარჩა 10 კილომეტრი, რაც 5 დეკემბრამდე იქნება მზად.

ბრონეულის სადგურის კედლები ამოყვანილია და უახლოეს დღეებში დაიწყება მისი გადახურვა. ასეთივე მდგომარეობაშია სადგური თერნალიც. გუმბრინში შენდება პავილიონი, ასეთივე პავილიონი შენდება წყალტუბოში. ამჟამად სწარმოებს სადგურების ტერიტორიის გასუფთავება, ჩიხების და ისრების წესრიგში მოყვანა. ჩქარი ტემპებით მიმდინარეობს ტელეგრაფის ხაზის გაყვანა.

ბრონეულა-გუმბრინ-წყალტუბოს გზა მომავალ წლიდან გადაიქცევა ერთ-ერთ სანიმუშო კულტურულად მოწყობილ გზად, რომელიც დღეში გაატარებს 10—12 სახალხო მატარებელს.

ვ. ლალიაშვილი.

ასურელებს და ქურთებს

ექნებათ საკუთარი სასკოლო შენობები

ტფილისის საბჭომ განიხილა საკითხი იმის შესახებ, რომ ასურელებისა და ქურთების სკოლებისათვის დღემდე არ იყო გამოყოფილი დამოუკიდებელი შენობები. ამის გამო საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა ტფილისის განათლების განყოფილებას შეიძინოს ორი შენობა, ერთი ასურელების და მეორე ქურთების სკოლისათვის.

ამავე დროს, აღნიშნული შენობების შესაძენად ტფილისის საბჭოს პრეზიდიუმმა ნება დართო განათლების განყოფილებას საკუთარი ბიუჯეტიდან გადასდოს 18.000 მანეთი ასურელების და 25.000 მანეთი ქურთების სკოლებისათვის ახალი შენობების შესაძენად.

აკაკი წერეთლის გამოუქვეყნებელ ნაწარმოებთა კრებული

სახელოვანი ქართველი მწერლის აკაკი წერეთლის დაბადების 95 წლისათვის და გარდაცვალების 20 წლისთავის აღსანიშნავად საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი ამზადებს მწერლის გამოუცემელ ნაწარმოებთა კრებულს იმ მასალების მიხედვით, რომლებიც ინახება მუზეუმში.

კრებულში შევა აკაკი წერეთლის გამოუცემელი ლექსები, პოემები, პიესები, წერილები, აგრეთვე მოგონებები და გამოკვლევები მის შესახებ.

კრებული გამოვა საქართველოს მუზეუმის დირექტორის გ. მიროტაძის, დუდუჩავას და ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტის ვ. კაკაბაძის რედაქციით.

კრებულის გამოცემა განზრახულია 1935 წლის იანვრის დამლევისათვის. (ადს).

კვების პროდუქტების გადატანის ახალი წესი

ტფილისის საბჭომ შეიმუშავა და ყველა სათანადო ორგანიზაციებს დაუგზავნა კვების პროდუქტების ქალაქში გადატან-გადმოტანის ახალი წესი. მიუხედავად ასეთი წესის არსებობისა, ზოგიერთი ორგანიზაცია მას მაინც არ იცავს და ამის გამო ტფილისის საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება კვების პროდუქტების გადატანის წესების დამრღვევთა წინააღმდეგ.

ახალი დადგენილების მიხედვით წესის დამრღვევნი პირველად დაჯარიმებული იქნებიან 100 მანეთით, ხოლო შემდეგ 30 დღით იძულებით სამუშაოზე გადაგზავნით.

20.000 მანეთი

საბინაო მშენებლობის პროექტების დასამუშავებლად

მომავალი, 1935 წლის განმავლობაში, ტფილისში ახალ საბინაო მშენებლობაზე დახარჯული იქნება 64 მილიონ მანეთამდე. ფაქტიურად ამ თანხით დაწყებული იქნება ტფილისის ზოგიერთი უბნის რეკონსტრუქცია მომავალი ტფილისის უკვე მიღებული გენერალური გეგმის მიხედვით.

ტფილისის საბჭოს პრეზიდიუმმა გადაწყვიტა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მომავალ წელს საბინაო მშენებლობის გაშლას, რომ ცალკე სახლების პროექტები დამუშავებული იქნეს გენერალური გეგმის მიხედვით.

საბინაო მშენებლობის პროექტების დასამუშავებლად 1935 წლისათვის ტფილისის საბჭომ თავისი თანხებიდან გადასდო 20.000 მანეთი.

ტრამვაის ახალი მარშრუტები

ტრამვაით მიმოსვლის გასაადვილებლად 26 ნოემბრიდან ტრამვაის დირექციამ გამოუშვა დამატებითი ტრამვაის ნომრები; აგრეთვე აღდგენილ იქნა ტრამვაი „ბ" და ტრამვაი № 2 თავისი მარშრუტით.

ტრამვაის ახალი ვაგონი № 20 დადის თავისუფლების მოედნიდან ვაკეში და ვაკედან ისევ უკან (ყოფილი ტრამვაი № 5 მაგიერ).

ტრამვაი „ბ" დადის ისევ თავისი მარშრუტით. სადგურიდან მუშტაიდის შემოვლით და კ. მარქსის ხიდის გავლით ფედერაციის მოედნამდე და ფედერაციის მოედნიდან რუსთაველის პროსპექტით და ჩელუსკინელების ქუჩაზე გავლით სადგურამდე.

ტრამვაი № 2 დადის სადგურიდან ვერის ხიდით ფედერაციის მოედნამდე და უკან.

მომხმარებელთა გემოვნების შესწავლა

ნოემბრის ბოლო რიცხვებისათვის სამკერვალო მრეწველობის სამმართველო და „სოიუზშვეისბიტი" იწვევენ ტფილისის ფაბრიკა-ქარხნების დამკვრელებისა და სამკერვალო მრეწველობის საწარმოთა გაერთიანებულ კონფერენციას ლამაზი ტანსაცმელების ახალი მოდელების შესარჩევად.

კონფერენციაზე წარმოდგენილი იქნება გაზაფხულისა და ზაფხულის სასეზონო ტანსაცმელის ასზე მეტი ახალი ნიმუში. აქედან მომხმარებლები — დამკვრელი მუშები და მუშა-ქალები ამოირჩევენ უფრო შესაფერისი ფასონის ტანსაცმელს და იმ ნიმუშებს, რომლებსაც მომხმარებელთა უმრავლესობა აირჩევს — სამკერვალო ფაბრიკები გამოუშვებენ მასობრივად გაზაფხულისა და ზაფხულისათვის.



სურათზე: ლაბორანტ ბაბახანოვისა და ბაიანდუროვის მიერ დამზადებული კაცის პალტოების მოდელები (ავტორებს მიეცათ 1-ლი და მე-2 პრემია).

ფიზკულტურა და სპორტი

ფეხბურთი

24 ნოემბერს ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართა შეჯიბრება ფეხბურთში ტფილისის გუნდებს შორის. თამაშობდენ ტფილისის სამომხმარებლო ორგანიზაციათა კავშირის (ტსოკ) და ა.-კ. საგზაო ინსტიტუტის გუნდები.

თამაში იწყება. მიუხედავად იმისა, რომ ინსტიტუტის გუნდს აკლია ორი მოთამაშე, ინიციატივა მის ხელშია, მაგრამ შედეგს მაინც ვერ აღწევს. რამდენიმე წუთის შემდეგ მას ემატება ორი მოთამაშე და თამაში უფრო გაცხოველდება, იგი საკმაოდ ავიწროვებს მოწინააღმდეგეებს, მაგრამ მათი მცველების ენერგიული თამაშის წყალობით მიზანს ვერ აღწევს და თამაშის პირველი ნახევარი მთავრდება 0:0.

თამაშის მეორე ნახევარი დაიწყო ტსოკ-ის გუნდის შეტევით და შუა თამაშის დროს მას გააქვს ერთი ბურთი. ამან დაზარალებულები გააცხოველა. ისინი ხშირად იტა-

ტსოკ-ის გუნდი იერიშზე გადადის, მას უნდა მოწინააღმდეგეებს მეტი ზარალი მიაყენოს, მაგრამ ინსტიტუტის გუნდი მას უმკლავდება, იგი შედეგს ვერ აღწევს და თამაშის მეორე ნახევარი მთავრდება 1:0 ტსოკ გუნდის სასარგებლოდ.

ორჯონიკიძის ქუჩის კეთილმოწყობისათვის

სტალინის რაიონში ამ ბოლო დროს ქუჩების კეთილმოწყობას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. დიდი მუშაობა წარმოებს პლეხანოვის პროსპექტის რუსთაველის პროსპექტის შემდეგ პირველ ქუჩად გადაქცევისათვის; მაგრამ სამაგიეროდ სხვა ქუჩები თითქმის სრულიად მიივიწყეს. ორჯონიკიძის (ყოფ. ანდრეევის ქუჩა) სრულ უყურადღებოთაა დატოვებული: ტროტუარები თითქმის ყველგან ანგრეულია, რის გამოც წვიმის დროს დგება ტბები, საშინელი ტალახი და ტროტუარებზე სიარული შეუძლებელი ხდება (ეს ითქმის უფრო ტრამვაის პარკიდან დიდუბისაკენ მიმავალ გზაზე.

თვით ქვაფენილებიც ანგრეულდანგრეულია: ავტომანქანის ან მოძრავი ტრანსპორტის გავლის დროს დგება საშინელი მტვრის კორიანტელი. ქუჩებში ჩაყოლებული მცენარეები მოკლებულია ყოველგვარ ყურადღებას.

დროა ყურადღება მიექცეს ორჯონიკიძის ქუჩის კეთილმოწყობას.

საზამთრო სპორტის საკავშირო ბაზა ბაკურიანში

ფიზკულტურის საკავშირო უმაღლეს საბჭოს განზრახული აქვს ბაკურიანში მოაწყოს საზამთრო სპორტის საკავშირო საცდელ-საჩვენებელი ბაზა. ამ მიზნით ბაკურიანის მიდამოებისა და მეტეოროლოგიურ პირობების შესასწავლად გაგზავნილ იყო სპეციალური კომისია, რომელშიაც შედიოდენ საზამთრო სპორტის ისეთი ავტორიტეტები, როგორიც არიან ყინულმორბენალია მსოფლიო ფალავნები: სტაკსრუდი, ენგნესტანგენი და სპორტის დამსახურებული ოსტატი იაკოვ მელნიკოვი.

ბაკურიანის მიდამოებისა და მეტეოროლოგიურ პირობების შესწავლის შემდეგ იაკოვ მელნიკოვმა განაცხადა:

„ეჭვს გარეშეა, რომ ბაკურიანი საბჭოთა კავშირში საზამთრო სპორტის საუკეთესო ბაზად უნდა ჩაითვალოს, რომელსაც სათანადო პირობების შექმნის შემდეგ არა თუ საკავშირო, არამედ მსოფლიო მნიშვნელობა ექნება.

წელს ზამთრის სეზონში განზრახულია ბაკურიანში დიდი მოედნის მოწყობა გლასუნებზე რბენისათვის.

განზრახულია წელსვე ჩატარდეს ბაკურიანში საკავშირო ოსტატების შეჯიბრი როგორც თხილამურებზე სიარულში, ისე გლასუნებზე რბენაშიც.

ამ შეჯიბრში მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიო ფალავნები ენგესტანგენი, სტაკსრუდი და ბალანგრუდი.

ახალი დანიშვნა

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილება

ამხ. ისაკი ექვთიმესძე ჟვანიას საქ. სსრ-ის სახკომსაბჭოსთან სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულად დანიშვნის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

ამხ. ისაკი ექვთიმესძე ჟვანია დანიშნულ იქნას საქ. სსრ-ის სახკომსაბჭოსთან სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულად.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავჯდომარე
ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი
თ. ჟღენტი.

1934 წ. ნოემბრის 27
ტფილისი

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილება

ამხ. ალექსანდრე გერასიმესძე ჟოჟიკაშვილის საქ. სსრ-ის სახკომსაბჭოსთან სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

ამხ. ალექსანდრე გერასიმესძე ჟოჟიკაშვილი მისი სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო განთავისუფლებულ იქნეს საქ. სახკომსაბჭოსთან სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულის მოვალეობისაგან.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავჯდომარე
ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი
თ.

1934 წ. ნოემბრის 27
ტფილისი

ქრონიკა

28 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე მწერალთა სასახლეში შესდგება საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პარტჯგუფის სხდომა. მწერალთა კავშირის წევრ პარტიულ ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.

29 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე მწერალთა სასახლეში ამხ. მ. ტოროშელიძის თავჯდომარეობით შესდგება კრიტიკოსების თათბირი. კრიტიკოსების დასწრება სავალდებულოა.

ავაშენოთ „კომუნისტის" ესკადრილია!

„საქართველოს რამ" შეაქვს „კომუნისტის" ესკადრილიის ასაგებ ფონდის გასაძლიერებლად ათასი მანეთი.

მ. ლვამიჩავა.

★

ბორჯომის რაიონულ გაზეთ „ბოლშევიკური ტემპით" სტამბას „კომუნისტის" ესკადრილიის ფონდში შეაქვს 190 მანეთი.

ჭ. იაშვილი.

საქართველოს კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის თანამშრომლებს შემოაქვთ 210 მანეთი.

★

სტალინის სახელობის პირველი ქართ. მსროლელი დივიზიის ცალკე მესანგრე ასეულის წითელარმიელს შემოაქვს ათი მანეთი და იწვევს: იგ. სანაძეს, პ. ალავიძეს, დ. ბეგიაშვილს, ალ. მალაზონიას, ქ. ანასთასიანს, ა. ლიჩელს, მ. რამიშვილს, ხ. ხარჩელს, ვ. ბერიშვილს, ბ. თოდრიას, ქ. დიდებულიძეს, ხ. წვეელიძეს, მ. გველესიანს, ე. ბაკურიას, ეგ. პეტრიაშვილს, ქ. აბაკელიას, მ. აბულაძეს, ბ. მეფარიშვილს, ხ. ჯორბენაძეს, ვ. სართანიას, ათმეთაურ დ. კუხიანიძეს და ოცმეთაურ გრ. გეგუჩაძეს.

დ. ფაილოძე.

★

შემომაქვს 5 მანეთი და ვიწვევ: ვ. ჭყონიას, გ. კახიაშვილს და ვ. გოგვაძეს.

დადაშ აჰმედ-ოღლი.

★

შემომაქვს 10 მან. ვიწვევ: ქ. ვაშაკიძეს, ვ. ბერაძეს და ვ. ხუციშვილს.

ჰუსეინ კირისილ-ოღლი.

სულ 28 ნოემბრისათვის შემოსულია — 241.532 მან. და 26 კაპ.

წერილები ადგილებიდან

რისთვის გამომასახლეს?

(სტუდენტის წერილი).

1933 წლის სექტემბრიდან ვცხოვრობდი დ. გამყრელიძესა, მ. ფხალაძესა და ს. ლოლაძესთან ერთად ახალი გეგმის ქუჩაზე, სახლ № 9-ში (ტფილისი), რომელიც ეკუთვნის მოქალაქე გიორგი ფარადაშვილს. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ა.-წ. აპრილში ფხალაძე და ლოლაძე წავიდენ ტფილისიდან, გამყრელიძეც სხვა ოთახში გადავიდა. ასე რომ მაისიდან ოთახში დავრჩი მხოლოდ მე.

საზაფხულო არდადეგებზე სოფელში ვიყავი. ამ დროს სახლის მესაკუთრეს აღუძრავს სარჩელი ლენრაიონის სახ. სასამართლოში ბინიდან ჩემი გამოსახლების შესახებ და სასამართლოს ჩემი გამოუძახებლად დაუდგენია ოთახიდან ჩემი გამოსახლება და ოთახი გადაუცია სახლის მესაკუთრე ფარადაშვილისათვის.

20 სექტემბერს ჩამოვედი ტფილისში. აღმოჩნდა, რომ ჩემს ოთახში ფარადაშვილს შეუსახლებია ვიღაც მოქალაქე. ღავიდგინე კასაციის უფლება. უზენაეს სასამართლოს საკასაციო სკრებულომ დაარღვია აღნიშნული დადგენილება და გადასცა იმავე სასამართლოს ხელმეორედ განსახილველად. როგორც იქნა, 6 ნოემბერს ვეღირსე საქმის ხელმეორედ გარჩევას. მაგრამ ლენრაიონის სახალხო სასამართლომ ოთახი კვლავ ფარადაშვილს მიაკუთვნა. დადგენილების საფუძვლად ის მოყავთ, თითქოს მე ოთახში ვცხოვრობდი როგორც სტუმარი.

სინამდვილეში ყველანი ოთახში ერთნაირი უფლებით ვცხოვრობდით და პერსონალურად ვაძლევდით ბინის ქირას მესაკუთრე ფარადაშვილს. არც ერთს ჩვენგანს ბინის მესაკუთრესთან არ გვქონია რაიმე უკმაყოფილება, ვენდობოდით მას და არ ვართმევდით ქვითარებს; ის კი ქვითარებს თურმე განგებ არ გვაძლევდა. პირადად მე გადახდილი მაქვს ბინის ქირა მთლიანად ა.-წ. სექტემბრამდე, რისი დამადასტურებელი მოწმენიც მყავს, მაგრამ სასამართლოს მოწმეებისა არ სჯერა.

გაუგებარია, რატომ გადასცა სასამართლომ ოთახი ფარადაშვილს, როდესაც მას აქვს სამი ოთახი (სამწევრიან ოჯახს).

მე თითქმის ყოველდღე ვდგევარ ლენრაიონის სახ. სასამართლოს კარებზე, მაგრამ არაფერი გამოდის. მოვითხოვ პასუხს: რისთვის გამომასახლეს ბინიდან?

კ. ქამუშაძე.

დაუდევრობა, რომელიც ძვირად უჯის მოსახლეობას

ფაქტი, რომლის შესახებაც ჩვენ ვლაპარაკობთ, დაუდევრობის იშვიათი ნიმუშია. **ხონის** აბრეშუმის ძაფსაღები ფაბრიკის ტერიტორიაზე დღემდის არაა გაყვანილი კანალიზაცია. ფაბრიკაში ბევრია ისეთი ნარჩენები, რომლებიც საშინლად ჰყარს. ეს ნარჩენები 5 კილომეტრიანი ღია არხით გადის მდ. ცხენისწყალში და წამლავს არემარეს. ახლო-მახლო მოსახლენი იძულებული არიან გამოკეტილი სახლებიდან გარეთ არ გამოვიდენ და საათობით უცადონ ჰაერის დასუფთავებას. იშვიათი არ არის დაავადების შემთხვევები, რასაც ასეთი ანტისანიტარია იწვევს.

ფაბრიკამ ცენტრიდან არაერთხელ მიიღო თანხა კანალიზაციისათვის, მაგრამ იგი ყოველთვის არადანიშნულებისამებრ დახარჯა.

როდემდის გაგრძელდება ასეთი უმსგავსობა?

დ. კაკაბაძე, დ. სამხარაძე, ვ. ქუთათელაძე.

ხიდი ჩაიმტვრა

ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობასა და ჩაის ფაბრიკას შუა მდინარე ჩაქვზე გაკეთებულია ოცმეტრიანი ხის ხიდი.

ხიდი დალპა. უკვე ნახევარი წელი იქნება, რაც ბოძები წაქცეულია და ფიცრები ჩამტვრეულია.

ჩაის საბჭოთა მეურნეობის პარტკომმა გამოიტანა დადგენილება ხიდის გამოცვლის შესახებ, მაგრამ ამ დადგენილებას არავინ ასრულებს.

დადგენილების მხოლოდ გამოტანა როდი კმარა! ძველი ხიდით სარგებლობა სახიფათოა. დადგენილებას შესრულება უნდა.

დ. ფაილოძე, ვ. რამიშვილი.

გამოხმაურება

ტყეს ანადგურებენ

„კომუნისტის" რედაქციამ ამ სათაურით 19 სექტემბერს მიიღო წერილი. წერილის ავტორი კასპის უბნის ტყის მცველებს ს. გურწიშვილს და გრ. ფარნიშვილს ბრალს სდებდა ტყის განადგურებაში.

„კომუნისტის" რედაქციამ აღნიშნული წერილი გამოსარკვევად და ზომების მისაღებად გადაუგზავნა საქ. სატყეო ტრესტის გორის რაიგანყოფილებას, რომელიც გვატყობინებს, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა. ს. გურწიშვილი და გრ. ფარნიშვილი მოხსნილია სამუშაოდან და მიცემული პასუხისგებაში.

ვინ მიითვისა?

„კომუნისტის" რედაქციამ ამ სათაურით 18 აგვისტოს მიიღო წერილი. წერილის ავტორი ხოფ. ხოჯის (ცაგერის რაიონი) სკოლის გამგეს ბაკურაძეს ბრალს სდებდა სასკოლო თანხის მითვისებაში.

„კომუნისტის" რედაქციამ აღნიშნული წერილი გამოსარკვევად და ზომების მისაღებად გადაუგზავნა ცაგერის რაიგანათლების განყოფილების გამგეს, რომელიც გვატყობინებს, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა. ბაკურაძე მოხსნილია სამუშაოდან და აეკრძალა პედაგოგიურ დარგში მუშაობა.

ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრი 1934-35 წ. სეზონი	დღეს მე-8 აბონ. 4 წარ.	29 ნოემბერს 4 აბონ. 3 წარ.	30 ნოემბერს მე-3 აბონ. 3 წარ.
	ქეთო და კოტე	რიგოლეტო	ტოსკა

ის აბონენტები, რომლებსაც არ ექნებათ გადახდილი მე-5 საბონემენტო შესატანი, კარგავენ წარმოდგენაზე დასწრების უფლებას, ხოლო მათი ადგილები გაიყიდება.

დაიწყო ყველა აბონემენტის მეექვსე მორიგი საბონემენტო შესატანის მიღება.

წარმოდგენის დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე.

რუსთაველის თეატრი სახალხო არტისტ ს. ახმეტელის ხელმძღვანელობით	29 ნოემბერს მე-13 აბ. 2 წარ.	30 ნოემბერს მე-16 აბ. 2 წარ.	2 დეკემბერს მე-3 აბ. 3 წარ.
	მაისტერ	მაისტერ	In Tirannos

მეოთხე გადასახადი სავალდებულოა.

შეტანილი უნდა იქნას თეატრის სალაროში წარმოდგენის დღის 2 საათამდე.

სალარო ღიაა 11-2 ს. 6-9 საათამდე.

დასაწყისი 8 საათზე.

მარჯანიშვილის თეატრი		
	28 ნოემბ. აბონ. № 8 მე-2 წარმ.	წარმოდგენა № 25 ნინოშვილის გურია
	29 ნოემბ. აბონ. № 5 მე-2 წარმ.	წარმოდგენა № 26 მზის დაბნელება
	30 ნოემბ. აბონ. გარეშე	წარმოდგენა № 27 მზის დაბნელება

აბონენტები, რომელთაც არ ექნებათ გადახდილი მესამე გადასახადი მე-2 წარმოდგენაზე დაშვებული არ იქნებიან.

სალარო ღიაა 11-2 ს. 6-9 ს. დასაწყისი 8 საათზე.

ოქტომბერი 6-30, 8-30, 10-30.	დადგმის მეოთხე კვირა „უკანასკნელი მასკარადი" ავტორი-რეჟისორი მ. ჭიაურელი.
დამკვრელი 6-30, 8, 9-30, 11	ახალი მხატვრული სურათი ფუნთუშა გიუ-დე-მოპასანის მოთხრ. მიხედვით
ტემპი 6-30, 8, 9-30, 11.	ახალი ეკზემპლიარი „ადათის გავლენის ქვეშ"
რ. ლიუქსემბურგის სახ. 6-30, 8-30, 10-30	უკანასკნ. დღეები „ნახვამდის" დღისით 12 საათიდან ჯიმი ინგის
„26"-ის კომ. სახ. 1, 8-30, 10.	მხატვრული ფილმი უცხო ქალი დღისით 12 საათიდან მოსამართი ხოჯო

„ტეჟეს" ა-კ. სამხარეო კანტორა

აცნობებს ყველა მომხმარებელს, რომ მიღებულია მაღალხარისხოვანი ხელის საპონის დიდძალი რაოდენობა,

რომლის ფასები დაკლებულია 25-დან 35 პროც-მდე.

აღნიშნული საპონი მოითხოვეთ კოოპერაციის, ტ. ს. ო. კ-ის, სახვაჭრობის, სააფთიაქო სამმართველოს, წითელი ჯვრის და სხვ. საცალო ქსელში, აგრეთვე „ტეჟეს" საკუთარ საცალო მაღაზიაში (ა-კ. ფედერაციის მოედანი № 1). 719

ერთწლიან ტექნიკურ საკონსტრუქტორო კურსებზე და ხუთთვიან სახაზველო ჯგუფში

1 დეკემბრიდან იწყება მეცადინეობა

მიღება გრძელდება.

მიღებული ამხანაგები უნდა გამოცხადდენ 1-ლ დეკემბერს საღამოს 6 საათზე, სანაპიროს ქ. № 19.

ნ. 520 დირექცია.

ქალ. ტფილისის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი დ. ა. ხვანიძე

ამით აცხადებს, რომ ის ა-წ. 29 ნოემბერს, ნაშუადღევის 12 საათზე

საჯარო ვაჭრობით გაჰყიდის

ორჯონიკიძის ქ. № 73 სახლში მოთავსებულ არტელ „ხე-ტყის პროდუქტის" შემდეგ ქონებას: 1. სახერხ ქარხანას სამი ძრავით და დაზგებით. 2. ნაგებობას შეფასებულს 4.500 მანეთი „ბინკომშენის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად თანახმად საქ. სახარბიტრაჟის მიერ ა-წ. 13 ივლისის თარიღით და 1588 №-ით გაცემულ ბრძანებისა. საჯარო ვაჭრობის დროს დაცული იქნება საქართველოს სამ. საპ. კოდექ. სათანადო მუხლები. 5966

სატრიკოტაჟო ფაბრიკა (საქ. ადგილ. მრეწველ. სახალხო კომისარიატი).

საქტრიკოტაჟი ლებულობს მოსამზადებლად ტრიკოტაჟის: ჩულქების, წინდების და სვიტრების მქსოველებს, აგრეთვე ლებულობს მოწაფეებს კოტტონ მანქანაზედ.

სწავლის ვადა ერთი თვიდან სამ თვემდე.

შესწავლის დროის განმავლობაში მოსწავლენი ღებულობენ ხელფასს თანახმად შრომის კანონთა კრებულისა.

მომარაგებით გათანასწორებულნი იქნებიან ფაბრიკის მუშებთან.

მოსწავლენი მიღებულ იქნებიან არა ნაკლებ 18 წლისა; თან უნდა იქონიონ პასპორტი.

მისამართი: შავთელის ქუჩა № 17 (მუხრანის ხიდიდან). 721

ტფილისის ქალაქის რკინის გზების ტრესტის დირექცია

აცხადებს,

რომ 1935 წლისათვის წლიური ფასიანი ბილეთები გაიცემა განსაზღვრული რაოდენობით

ამისათვის ორგანიზაცია და პირები, რომელთაც სურთ ბილეთების შეძენა, ვალდებული არიან წარმოადგინონ განაცხადი საფასურის ტრამვაის სალაროში შეტანით, ან მიმდინარე ანგარიშზე № 16 კომუნალურ ბანკში ჩარიცხვით არა უგვიანეს 10 დეკემბრისა.

ამ ვადის შემდეგ შესაძლებელია ბილეთები არ გაიცეს.

განაცხადი უნდა წარმოდგენილი იქნეს ფოტო-სურათთან ერთად იმ პირებზე, რომელთა სახელზე უნდა იქნეს გაცემული ბილეთები.

წლიური ბილეთების ღირებულება:
ა) სახელობითი — 363 მან.
ბ) უსახელო — 603 მან.

3-2 ნ.547 ქალ. რკ. გზების ტრესტის დირექტორი რაზმაძე.

სახ. უნივერსიტეტის მუშათა ფაკულტეტთან 1-ლი დეკემბრიდან

იხსნება უნივერსიტეტში შესასვლელი 6-თვიანი მოსამზადებელი კურსები

მეცადინეობა იწარმოებს დილით და საღამოს. კურსებზე მიღებული იქნებიან საშუალო კურსდამთავრებულნი. განცხადებების მიღება და ჯგუფების დაკომპლექტება მოხდება 1-ლ დეკემბრამდე. ყოველგვარი პირობების გაგება შეიძლება მუშფაკში, რიყის ქუჩა № 2, დილით 10—2 ს. და საღამოს 7—10 საათამდე.

5941 ტფილისის სახ. უნივერსიტეტი.

დედა ეკატერინე, ძმები: გენო, საშა, მიტო, ბიძები: ილიკო, გიორგი ტატიშვილები ცოლშვილით იუწყებიან
გუშა (გიორგი) დავითის-ძე ტატიშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 29 ნოემბერს, 4 ს. დურგლის ქ. № 99 (ნაძალადევი).

რომან ძიძიგური იუწყება
ამხ. ონიფანტე გიორგის-ძე ოყროშიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ზესტაფონში 29 ნოემბერს 4 ს. ძმათა სასაფლაოზე. გამოსვენება მოხდება ფეროშარგანეცის ქარხნის მუშათა კლუბის შენობიდან.

მშობლები: გრიშა, თამარა მასხარაშვილი-ჯიბლაძისა, ბაბუა ექვთიმე, ბებია ალათი, მამიდები: ელიკო, ქეთო ჯიბლაძეები იუწყებიან.
პატარა მედიკოს
უდროოდ დაკარგვას. სამოქ. პანაშვიდი ყოველდღე 6 ს. კამოს ქ. № 68, დაკრძალვა 30 ნოემბერს 2 ს. ვერის სასაფლაოზე.

ცოლი ნინა, შვილი გიორგი, ძმები: ვლადიმერი, არჩილი და სოფიო მაჩაბელები იუწყებიან
პავლე ზაქარიას-ძე მაჩაბლის
გარდაცვალებას. სამოქ. პანაშვიდი დღეს 7 ს. ახალციხის შეს. № 15. დაკრძალვა 29 ნოემბერს 4 ნახ. ს. კუკიის სასაფლაოზე.

ბიძაშვილი: იოსები, ცოლი მელითო, შვილებით: ქეთო, გოგი, ნათელა და თამარით და მეძმარიაშვილი შუშანა, შვილებით იუწყებიან
ილიკო გრიგოლის-ძე ვარდანაშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს 4 საათზე. ვერის სასაფლაოზე.

ფეროშარგანეცის ქარხნის ტფილისელი თანამშრომლები ჩხეიძე, ცერცვაძე, კეჟეუმაძე, თოსელიანი, ჭანიშვილი, კეკელიძე, მეტონიძე, ხეცურიანი, ასათიანი, გელოვანი, ერისთავი, იუწყებიან მუშათა მომარაგების უფროსის
ამხ. ონიფანტე ოყროშიძის
უდროოდ გარდაცვალებას.

ძალო დარიკო, შვილებით: ვალოდია, გრიშა, ოთარი, ნატა, თამარი, ქეთო ტატიშვილები, სიძე მიშა ციციშვილი რძლები: ვალია და მარო უწყებიან
გოგუშა (გოგი) ტატიშვილის
უდროოდ გარდაცვალებას.

ტფილისის რკ. გზის საავადმყოფოს ქირურგიული და კლინიკის ექიმები იუწყებიან ექიმ ალექსანდრე (ხუტუ) ოსიძის მამის
ხოლომონ ოსიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს 4 ს. კუკიის სასაფლაოზე. გამოსვენება ქ. ცეტკინის ქ. № 126-დან.

არტელ „ყველა კოლექტივიზაცია"-ს გამგეობა და მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან ამავე არტელის საქუდე საამქროს გამგის ამხ.
დავით არუთინის-ძე არუთინოვის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 29 ნოემბერს ავლაბრის სასაფლაოზე.

გერასიმე, ჯაველიძე ცოლით ეპრაქსიათი, შვილებით: კაკუტია, ანგელინათი, ციბა, კუკურით, ხუტუ, გულნარათი, გუგულია, ელიკო, ვერა, ბორია იუწყებიან
ხოლომონ პორფირეს-ძე ოსიძის
გარდაცვალებას. გამოსვენება 4 ს. ცეტკინის ქ. № 126.

ვიაჩესლავ, აკაკი, მატრონა, და თამარ გაწერელიძეები, ზინა მოისწრაფიშვილი შვილებით იუწყებიან
ხოლომონ პორფირეს-ძე ოსიძის
გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს 4 ს. კლ. ცეტკინის ქ. № 126-დან. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე.

ცეკავშირის პრეზიდიუმი იუწყება ზესტაფონის რაიკავშირის ყოფილ თავმჯდომარის, ძველი კოოპერატორის, საუკეთესო ადამიანის და ამხანაგის
ონიფანტე ოყროშიძის
გარდაცვალებას.

დები: ლიზა, კატუშა, თამარა, სიძე ნიკო მაღრაძე. რძალი ანნა შვილებით: თინა, ყალიკო, თამარი, ნუნუ ვარდანაშვილები. დისშვილი ბორია იუწყებიან
ილიკო გრიგოლის-ძე ვარდანაშვილის
გარდაცვალებას.

მისამართები: რედაქციის, რუსთაველის პროსპექტი № 16, გამომცემლობის, რუსთაველის პროსპ № 64. ტელეფონები: რედაქტორის 3—62—26, რედაქტორის მოადგილის 3—62—03, პასუხისმგებელი მდივნის 3—06.88, მასობრივი განყოფილების 3—73—24, პარტმშენებლობის განყოფილების 3—57—61, სამრეწველო განყოფილების 3—78—40, სტამბის 3—27—04. გამომცემლობის — 3-51-81. ხელთნაწერებს რედაქცია ავტორებს არ უბრუნებს

სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 68 მთავლიტის რწმუნებული 9879.